ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 4 ივლისი, 2018 №156 (7701) ფასი: 60 თეთრი

ქენევის ფორმატს საფრთხე არ შეექმნება?

გვ.5 აფხაზეთი მწვავე ენერგოკრიზისის წინაშე დგას

3 ივლისიდან

ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ქართული დეტექტივი ტომი 5

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

„ოცნება“ ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადება?

გვ.2

დავით ჭიჭინაძე: „უავტორიტეტო პარლამენტი და მთავრობა ამ ქვეყანას ვეღარ გაუძღვებიან“

მმართველ გუნდში საპრეზიდენტო არჩევნების ეშინიათ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი დღემდე ვერ შეარჩიეს. ახლა, პარლამენტის სპიკერი ამბობდა, რომ კანდიდატურას მაისში დაასახელებდნენ. მერე ეს ვადა ივნისისთვის გადასნია. ახლა „ოცნებაში“ ამბობენ, რომ მათი არჩეული ვინაობას ივლისის შუა რიცხვებში გავიგებთ.

„რუსეთის მორიგი სამიზნე დუშეთი და ყაზბეგია“

გიორგი ლაფანაშვილი: „მოსკოვი ამ რაიონებში აუცილებლად აგვიფეთქებს ოსურ ნაღმებს“

გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „ხელისუფლებას შალვა თადუმაძის მთავარ პროკურორად გაყვანა გაუჭირდება“

გვ.2

პროკურატურის სისტემა არ არის დამოუკიდებელი და არ არის პოლიტიკურად ნეიტრალური, როგორც ეს უნდა იყოს. რეალურად, ხელისუფლების მთავარი საზრუნავი უნდა იყოს მთავარი პროკურატურის ინსტიტუციურად გაძლიერება და არა – პოლიტიკურად მოტივირებული კოსმეტიკური ცვლილებები.

სამართალი გვ.7



ავარიას აშშ-ის საელჩოსთან გენერალ ლევან გვაზავას ვაჟი, ლუკა, ემსხვერპლა

ბაიკერი 2 მანქანას შორის მოხვდა

კობა დავითაშვილმა სააკაშვილისა და მერაბიშვილის წინააღმდეგ პროკურატურას მიმართა

რუსთავში მერსედესი ამობრუნდა 1 ადამიანი დაიღუპა

ეკონომიკა გვ.6

ორი დამსკანერებელი და მათი დამხმარე ბიუჯეტს 16.260 ლარი დაუჯდება

საქართველოში ბინების 70-80% განვადებით იყიდება

ლარსის საბაჟო პუნქტი შეფერხებით რუსული მხარის მიზეზით მუშაობს

ISSN 1987-9385

5 ყვითელი „მარშრუტკების“ ნაწილს გზებზე გადაადგილება აეკრძალა

6 საქართველოდან 2,955 ტონა ატამია ექსპორტირებული

5 „ბიუ-ბიუს“ დამფუძნებელი: „მენტალურად მთავრობა განვითარებას ჩამორჩა“

6 საქართველოში ტურისტების რაოდენობა იზრდება – ქვეყნები, საიდანაც ყველაზე მეტი მოგზაური ჩამოვიდა

ლევან ალაფიშვილი: „ხელისუფლებას შალვა თადუმაძის მთავარ პროკურორად გაყვანა გაუჭირდება“

ნათია ხურცილავა

სამართალმცოდნე, კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მთავარი პროკურორობის კანდიდატებსა და სავარაუდო სცენარის განვითარებაზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, არასამთავრობო სექტორი მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესის შეჩერებას ითხოვს და ამის მიზეზად მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის, შალვა თადუმაძის კანდიდატურის წარდგენას ასახელებს. ხელისუფლება უკან დაიხევს, წავა დათმობაზე?

– საზოგადოების ეს მოთხოვნა არსებითად სისტემის გაჯანსაღებისკენ არის მიმართული და სხვა არაფრისკენ. პროკურატურის სისტემა არ არის დამოუკიდებელი და არ არის პოლიტიკურად ნეიტრალური, როგორც ეს უნდა იყოს.

რეალურად, ხელისუფლების მთავარი საზრუნავი უნდა იყოს მთავარი პროკურატურის ინსტიტუციურად გაძლიერება და არა – პოლიტიკურად მოტივირებული კოსმეტიკური ცვლილებები. 2015 წელსაც გვითხრეს, რომ რეფორმირების გზით თითქოს რაღაც შეიცვალა, მაგრამ რეალურად აღმოჩნდა, რომ არც არაფერი არ შეცვლილა. სისტემა იგივე დარჩა, რაც კარგად გამოაჩინა ხორავას ქუჩაზე მომხდარმა მკვლელობამ.

გაფუჭებული საქმის გამო ვნახეთ, როგორ მოუწია მთავარ პროკურორს გადადგომა, რომ საზოგადოების განრისხება ოდნავ მაინც დამცხრალიყო. ამდენად, სწორი დიაგნოზის დასმა გადაუდებლად აუცილებელი საქმეა. დიაგნოზი კი ის არის, რომ პროკურატურა, როგორც მართლმსაჯულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი, არ არის რეალურად დამოუკიდებელი და პოლიტიკური გავლენებისგან დაცული.

– თქვენ მმართველი გუნდის თამაშებზე საუბრობდით, წარმოდგენილი კანდიდატების ნაწილი, მაგალითად, თადუმაძე, ნადარეიშვილი სწორედ ამ თამაშების ნაწილია?

– დიახ! ნათელი ხდება მმართველი პოლიტიკური გუნდის თამაშები, დაასახელოს მისთვის საინტერესო რამდენიმე კანდიდატი იმისთვის, რომ პროცესი წარმოაჩინოს საინტერესოდ. პლურალისტურ გარემოში ჩატარებულად, საბოლოოდ კი მისთვის საინტერესო გადაწყვეტილება მიიღოს.

თუ პროცედურული თამაშები დარჩა, სავარაუდოდ მეორე, დასკვნით ტურში იქნებიან პროკურატურის და მთავრობის წარმომადგენლები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებებსაც აქ მიიღებენ. ამ შემთხვევაში გარიგება მოხდება პროკურატურის კორპუსს, მხედველობაში მაქვს საბჭო და პოლიტიკოსებს შორის, რაც ძალიან ცუდია. ეს ნიშნავს, რომ პროკურატურა და პროკურორთა კორპუსი ჩართული იქნებიან პოლიტიკურ პროცესში, ეს კი ნეიტრალიტეტს არ ნიშნავს. გარიგების საგანი კი სხვადასხვა რამ შეიძლება იყოს. ეს იქნება იმ პროცესის გაგრძელება, რასაც წლებია, ვუყურებთ.

– რა შეიძლება გარიგების საგანი იყოს?

– ყველაფერი. სისტემური გაუმართაობის პირობებში გარიგების საგანი სხვადასხვა რამ შეიძლება იყოს. რა იქნება გარიგების საგანი, ეს არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის, რომ სისტემა ამის საშუალებას იძლევა. ამიტომ არის უმნიშვნელოვანესი, რომ მართლმსაჯულების ინსტიტუტები რეალურად დამოუკიდებლები იყვნენ ყოველგვარი პოლიტიკისგან.

რიგითი გამომძიებლის დონეზე უნდა გაძლიერდეს სისტემა, რომელიც

თავისუფალი უნდა იყოს ზემდგომის ჩარევისგან. სისტემურად უნდა გავიაზროთ, როგორი პროკურატურა გვინდა. გამოძიება უნდა იყოს ცალკე არსებული ძლიერი ინსტიტუტი, პროკურატურა – ცალკე, მისი საქმის წარმმართველი სასამართლოში, რომელიც გამოძიების გაფუჭებულ საქმეს აღარ წაიღებს სასამართლოში, როგორც ეს ხორავას ქუჩის ტრაგედიის შემთხვევაში მოხდა. მოლოდინი, რომ რაიმე შეიცვლება ახალი პროკურორის არჩევით, არ მაქვს.

– რეალური დამოუკიდებლობა როგორ მიიღწევა?

– თუ ამის პოლიტიკური ნება იქნება, ძალიან მარტივად. მაქსიმალური საზოგადოებრივი ჩართულობით, საზოგადოებრივი ფილტრით, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობითა და დახმარებით. მთავარი არის პოლიტიკური ნება, რომელიც არ არსებობს. ყველა ხელისუფლებას ურჩევნია, მისდამი ლოიალურად განწყობილი მთავარი პროკურორი ჰყავდეს და ასე იმართებოდეს სისტემა. ასე მართულმა კი 2 წელზე მეტი ვერ გაძლო.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ არასამთავრობო სექტორი ბოლომდე არ მიჰყვა ამ პროცესს და ხელისუფლებამაც ისარგებლა ამით და მისთვის ლოიალურად განწყობილი კანდიდატი შეარჩია?

– ამ პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართულობა იქნებოდა მმართველი პოლიტიკური ძალისთვის კოზირი, რომ მას ეთქვა – პროცესი ფასადურად კი არ წარიმართა, არამედ დემოკრატიულად, სადაც საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები იღებდნენ მონაწილეობას.

ამ გაუმართავ სისტემაში, სადაც პოლიტიკური შემადგენელი დიდია, მესამე სექტორმა მონაწილეობა უბრალოდ არ მიიღო, ხელისუფლებას არ მისცა იმის კომფორტი, ეთქვა, რომ დემოკრატიულ გარემოში წარიმართა ეს პროცესი. ეს იყო გონივრული ნაბიჯი.

– კონკრეტულ კანდიდატებზე რა შეგიძლიათ თქვათ, ვინ შეიძლება იყოს ხელისუფლების ნების მეტად შემსრულებელი და ვინ დადგეს საზოგადოების ინტერესების სადარაჯოზე?

– არსებულ სისტემაში, როდესაც გავლენები, ჩარევის რისკები მაღალია, არ აქვს მნიშვნელობა კონკრეტულ პიროვნებებს. როდესაც რიგითი პროკურორი, გამომძიებელი არ არის დაცული, თუნდაც სატელეფონო ზარებისგან, გარე და შიდა გავლენებისგან, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება პირველი პირი.

– თქვენი მოლოდინი როგორია, ეს პროცესი როგორ შეიძლება დასრულდეს, მთავარი პროკურორი შალვა თადუმაძე გახდება?

– მე ასე ვერ ვიტყოდი. უკვე აშკარაა, რომ პროკურატურის კორპუსსა და მმართველ პოლიტიკურ ძალას შორის პოლიტიკური ვაჭრობა მიმდინარეობს.

– საუბარია, რომ პარტია „ქართული ოცნება“ მხარს შალვა თადუმაძის კანდიდატურას უჭერს, პროკურორები კი – ირაკლი ნადარეიშვილის კანდიდატურას.

– თუკი 2015 წელს პროკურორებმა სახელისუფლო პარტიასთან ვაჭრობა ვერ გაბედეს, დღეს ეს მოცემულობა შეცვლილია. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავხსნი ნადარეიშვილის ამ პროცესში მონაწილეობას. რეალურად პროკურატურის კორპუსი საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად ემზადება და შესაბამისი მორიგებისა თუ გარიგების გასაფორმებლად. ამდენად, მე ვერ ვიტყვი, რომ ასე ადვილად შეიძლება გავიდეს ბატონი თადუმაძე მთავარ პროკურორად, მით უმეტეს, რომ საპროკურორო საბჭოში დიდი ნაწილი პროკურატურის თანამშრომლები არიან.

მე არ გამორიცხავ, რომ თუ მორიგება არ შედგა პროკურორებსა და მმართველ ძალას შორის, მაშინ საპროკურორო საბჭოზე ხმათა უმრავლესობა შეიძლება კი მიიღოს ამ ორმა კანდიდატმა, მაგრამ შემდეგი ეტაპისთვის ყველაზე ძლიერი კონკურენტები პროცესს მიღმა აღმოჩნდნენ. ამიტომ, ასეთი ადვილი არ იქნება სახელისუფლო კანდიდატის გაყვანა.

ერთი საკვანძო მომენტი, რაც არის ამ პროცესში, არის შალვა შავგულიძის კანდიდატურის არსებობა. ამას არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ წარადგინა ის. არ არის გამორიცხული, რომ მთელ ამ პროცესში გადამწყვეტი იყოს სწორედ შალვა შავგულიძის ფაქტორი. არა შინაარსობრივად, რომ შავგულიძე გახდება მთავარი პროკურორი, არამედ საიმისოდ, თუ როგორ წარიმართება ვაჭრობა პროკურორთა კორპუსსა და მმართველ პოლიტიკურ ძალას შორის.

„ოცნება“ ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადება?

დავით ჭიჭინაძე: „უავტორიტეტო პარლამენტი და მთავრობა ამ ქვეყანას ვეღარ გაუძღვებიან“

შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნებაში" აშკარად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან. პარტიის ეთ-ეთმა ღიდეთმა დავით ჭიჭინაძემ უკვე მეოთხე წამოსნია ეს თემა.

ვადამდელი არჩევნების გარდა, მან კიდევ ერთხელ დააყენა ეჭვქვეშ ახალი მთავრობის ნდობის საკითხი. ჟურნალისტებთან საუბარში დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ ახალმა მთავრობამ შესაძლოა მოსახლეობის ნდობა ვერ გაამართლოს. ის მიიჩნევს, რომ თუ ასე მოხდება, ქვეყანაში კრიზისი შეიქმნება, რასაც მხოლოდ ვადამდელი არჩევნები განმუხტავს.

მისი აზრით, უავტორიტეტო მთავრობა ქვეყანას ვერ გაუძღვება. დეპუტატის თქმითვე, საქართველოს თავისტკივილად ურეიტინგო პარლამენტიც ეყოფა.

– ჩემი მოთხოვნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თაობაზე დაკავშირებულია მთავრობის ავტორიტეტთან. თუ მთავრობა შეძლებს საზოგადოების ნდობის მოპოვებას, მაშინ ეს, რა თქმა უნდა, მისი გადასაწყვეტი იქნება, მაგრამ, თუ ვერ მოვახერხებთ საზოგადოების ნდობის მოპოვებას, მაშინ, შესაბამისად, ორი უავტორიტეტო ორგანო, როგორიც არის პარლამენტი და მთავრობა, ამ ქვეყანას ვეღარ გაუძღვება.

ასეთ დროს საჭიროა, კრიზისი განიმუხტოს, ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ ეს ცვლილებებიც და ახალი მთავრობაც მოიპოვებს საზოგადოების ნდობას, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

დეპუტატის აზრით, მთავრობის მიმართ ხალხის განწყობა საპრეზიდენტო არჩევნებზეც გამოჩნდება.

მმართველ გუნდში საპრეზიდენტო არჩევნების ეშინიათ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი დღემდე ვერ შეარჩიეს. არადა, პარლამენტის სპიკერი ამბობდა, რომ კანდიდატურას მაისში დაასახელებდნენ. მერე ეს ვადა ივნისისთვის გადასწია. ახლა „ოცნებაში“ ამბობენ რომ მათი რჩეულის ვინაობას ივლისის შუა რიცხვებში გავიგებთ.

ივლისის შუა რიცხვები უკვე კარზეა მომდგარი, „ოცნებაში“ კი, როგორც ამბობენ, კანდიდატი შერჩეული არ ჰყავთ. რაღაც პერიოდი თეა წულუკიანის კანდიდატურას განიხილავდნენ აქტიურად, მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა გამოაჩინა, რომ მის მიმართ საზოგადოებას ანტიპათია აქვს. მას მამალი ქოცებიც კი ვერ იტანენ.

საუბარი იყო გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურაზეც, მაგრამ ისეთი სკანდალით წავიდა, რომ მას აღარავინ წარადგენს, თან მეოცნებეებს მასთან დაკავშირებით გარკვეული მოლოდინები აქვთ.

ყოფილ პრემიერს, მოგეხსენებათ, პარტიაში თავისი გუნდი ჰყავდა. მას გუნდი ჰყავდა პარლამენტშიც. კვირიკაშვილის გუნდის წევრად მოიაზრება დავით ჭიჭინაძეც.

ალბათ ყველას გახსოვთ მისი აქტიურობა ბიძინა ივანიშვილის მეორედ მოსვლის წინ. მაშინ „ოცნებაში“ ირაკლი კობახიძის ფრთა აშკარად დაუპირისპირდა კვირიკაშვილს და ჭიჭინაძემაც მაშინ „გაჭედა“.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები და თვით სპიკერიც კი პარტიიდან მის გარიცხვას ითხოვდნენ, მაგრამ არ გამოვიდა. მაშინ გაჩნდა ეჭვები, რომ ხმაურიანი დეპუტატის უკან თვით ივანიშვილი იდგა.

საპარლამენტო უმრავლესობაში არც ახლა გამორიცხავენ ამას. ამიტომაც არის, რომ ხმაურიანი განცხადებების გამო მას აღარ გმობენ.

ვადამდელი არჩევნების თემაზე ჭიჭინაძემ უკვე ორი განცხადება გააკეთა. ასეთ პერსპექტივას მმართველი გუნდის კულუარებშიც განიხილავენ, თუმცა ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„რუსეთის მორიგი სამიზნე დუშეთი და ყაზბეგია“

შორენა მარსაგიშვილი

ოკუპირებული ცხინვალის მთავრობას აშკარად მადა გაეხსნა – სამაჩაბლოს მითვისების შემდეგ მათ დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებზეც გამოთქვეს პრეტენზია. სამხრეთელები ამტკიცებენ, რომ ყაზბეგისა და დუშეთის ნაწილი აღმოსავლეთ ოსეთი იყო. ეს აღმოსავლეთ ოსეთი თურმე ბოლშევიკებს ჩამოუჭრიათ დიდი ოსეთისთვის და საქართველოსთვის მიუკუთვნებიათ.

გიორგი ლაფანაშვილი: „მოსკოვი ამ რაიონებში აუცილებლად აგვიფეთქებს ოსურ ნაღმებს“

ცხინვალის ხელისუფლება აცხადებს, რომ დროა, აღმოსავლეთ ოსეთი დიდ და დედა ოსეთს დაუბრუნდეს. სადაა ეს დედა და დიდი ოსეთი, თავადაც არ იციან. საქართველოს ხელისუფლებას ცხინვალელ ოსთა პრეტენზიებზე რეაქცია არ ჰქონია. დუშეთის თემთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ლაფანაშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ეს დუმილი შესაძლოა ჩვენს ქვეყანას ძვირად დაუჯდეს.

რას ემსახურება აღმოსავლეთ ოსეთის თემის გააქტიურება, რატომ გახშირდა ადამიანების გატაცებები, რა ნაღმები შეიძლება აფეთქდეს დუშეთსა და ყაზბეგში, ვინ იმუქრებოდა ოსეთთან მიერთებით, რას უნდა მიაქციონ ყურადღება საქართველოს სპეცსამსახურებმა? – ამის შესახებ გიორგი ლაფანაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

გიორგი ლაფანაშვილი:

– გასულ კვირას ცხინვალის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ წამოსწია ბუნებაში არარსებული აღმოსავლეთ ოსეთის თემა. ისინი საერთაშორისო თანამეგობრობასაც მიმართავენ და სთხოვენ, ბოლშევიკების ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებაში დაეხმარონ.

ოსების მტკიცებით, აღმოსავლეთ ოსეთი, რომლის არსებობა არც ერთი ისტორიული წყაროთი არ დასტურდება, თრუსოს ხეობასა და კობის ქვაბულს მოიცავდა. ამტკიცებენ, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს ბოლშევიკებმა გადასცეს.

სხვებისგან განსხვავებით, ოსებს ბოლშევიკებთან საპრეტენზიო არაფერი აქვთ. ბოლშევიკებმა შექმნეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ისტორიული ფაქტებით დადასტურებულია, რომ გასული საუკუნის დასაწყისში ცხინვალში ოსები ფაქტობრივად არ იყვნენ. იქ ქართველები და ქართველი ებრაელები ცხოვრობდნენ. ბოლშევიკებმა ქართველებსა და ებრაელებს იქაურობის დატოვება აიძულეს, მათ ადგილას კი ოსები ჩაასახლეს. ასე გადაიქცა ქართული ქალაქი ოსურ ქალაქად.

იგივე სიტუაცია იყო ჩრდილოეთ ოსეთშიც. მათთვის რომ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიენიჭებინათ, ბოლშევიკებმა ინგუშებსა და ყაბარდოელებს წაართვეს მიწები. ისტორიულად მოზდოკი ყაბარდოს ეკუთვნოდა, ხოლო ვლადიკავკაზის ნაწილი – ინგუშეთს.

– ჩრდილოეთ ოსეთი ვახსენეთ და მათაც გამოხატეს თრუსოს ხეობაზე პრეტენზიები. სამხრეთელებისგან განსხვავებით, იქაური ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ დიდი ოსეთის შემადგენლობაში, თრუსოს ხეობის გარდა, მთელი ყაზბეგი შედიოდა და მას ცენტრალური ოსეთი ერქვა. ოს ისტორიკოსებში აშკარად აზრთა სხვადასხვაობაა და ის მაინც გაარკვიონ, ყაზბეგი რომელი ოსეთია.

– ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოა. ბუნებაში არც აღმოსავლეთ ოსეთი არსებობდა და არც ცენტრალური, ისევე, როგორც არ არსებობდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი. ისტორიას კიდევ კარგად თუ გადაქექავენ, აღმოაჩენენ, რომ ვლადიკავკაზი საქართველოს შემადგენლობაში შემოდიოდა. ეს საზღვრები ერთა ლიგის მიერ არის აღიარებული.

სხვათა შორის, ამ ქალაქში ქართული სკოლა და ქართული ეკლესიაა და, აქედან გამომდინარე, საქართველომაც შეიძლება გამოთქვას ვლადიკავკაზზე პრეტენზიები.

კარგად მესმის, რომ რუსების წაქეზებულ ოს მეცნიერებს ისტორიული „არგუმენტები“ არ გამოელევათ იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული მიწები მათ ეკუთვნოდათ, მაგრამ გეოგრაფიას რას უშვრებიან. დარიალი ქართულად ითარგმნება, როგორც ალანიის (ოსეთის) კარი. ყაზბეგი კი დარიალის ხეობის აქეთაა. ასე რომ, მიხედონ თავიანთ ალანიას.

იმ ოსების გასაგონად, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბოლშევიკებმა წაართვეს მათ მიწები და ქართველებს გადასცეს, ერთი საინტერესო ამბავი მინდა გავიხსენო. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ჩრდილოეთ ოსეთის მთავრობა კრემლს ეხვეწებოდა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შეგვიყვანეთო. არარსებული ისტორიის სიღრმეებში რომ მიდიან, არსებული და უახლესი ისტორია გაიხსენონ.

– ჩვენს ხელისუფლებას ცხინვალის ბოლო პრეტენზიაზე რეაგირება არ ჰქონია. თქვენი აზრით, ღირს თუ არა ამ თემაზე პასუხის გაცემა? ამათი ისტორიკოსები კატალონიასაც ოსეთის ნაწილად მიიჩნევენ და ამტკიცებენ, კატალანიაო, იმასაც ამბობენ, შოთა რუსთაველი ოსი იყოო.

– რუსთაველთან დაკავშირებით ოსმა მეცნიერებმა სომხებთან უნდა მოითათბირონ. დიდ შოთაზე ისინი ამბობენ, სომეხიაო და დაიბნა სამყარო.

რაც შეეხება აღმოსავლეთ ოსეთზე გამოთქმულ პრეტენზიებს, ამაზე სათანადო რეაგირება უნდა იყოს. ეს თემა ცხინვალმა მიმდინარე წლის დასაწყისში გააააქტიურა. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს იდეა რუსეთს ეკუთვნის და ოსებს ახმოვანებინებს.

საქართველოს ხელისუფლებას არც მაშინ გაუცია მათთვის პასუხი და შედეგმაც არ დააყოვნა – ცხინვალმა აღმოსავლეთ ოსეთს დუშეთის რაიონის რამდენიმე სოფელიც დაამატა.

– დუშეთიც აღმოსავლეთ ოსეთის ნაწილი იყოო?

– მთელი დუშეთი – არა, რამდენიმე სოფელი. ამ სოფლებში ძირითადად ოსები ცხოვრობენ.

– ეგრე მცხეთაშიც არის ოსებით დასახლებული სოფლები, ახმეტაშიც და ლაგოდეხშიც. მათაც მიანიჭონ რამე ოსური სტატუსი.

– ჩვენი ხელისუფლება თუ ასე გააგრძელებს, მცხეთაზეც გამოთქვამენ პრეტენზიებს და კახეთის ნაწილზეც. ერთი შეხედვით, ეს „ისტორიული აღმოჩენები“ სისულელეა, მაგრამ ამ სისულელეების უკან დიდი და ვერაგი გეგმა იმალება. გეგმის შემმუშავებელი კი რუსეთია.

აღმოსავლეთ ოსეთის თემაზე ვსაუბრობთ და მე ამ თემას კომპლექსურად განვიხილავდი. ეს თემა მაშინ აქტიურდება ხოლმე, როცა საქართველო დასავლეთს უახლოვდება. აქამდე რუსები ორგანიზაცია „დარიალს“ აყვირებდნენ. ამ ორგანიზაციის წევრები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას მიმართავდნენ და სთხოვდნენ, „ჭეშმარიტად“ ოსური მიწების დაბრუნებაში დახმარებოდნენ.

– ეს „დარიალი“ ბოლო დროს რაღაც აღარ ჩანს.

– ეტყობა, ჯერ მისი გამოჩენა საჭირო არ არის, მის გარეშეც აკეთებენ საქმეს. ბოლო პერიოდში ბევრი საეჭვო რამე მოხდა. რუსმა ოკუპანტებმა ძალიან მოუხშირეს საზღვრების გადმოწევას. შიდა ქართლიდან, საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიებიდან გახშირდა ადამიანების გატაცება. ისე გათავხედდნენ, რომ მოზარდებსაც კი იტაცებენ. იმ დღეს საერთოდ 94 წლის მოხუცი გაიტაცეს.

ამ ყველაფრის გვირგვინი კი ლაგოდეხიდან ორი ქართველი მესაზღვრის გატაცება იყო. ეს უკვე ძალიან სერიოზული ამბავია. ამ პროვოკაციების ჯაჭვის ნაწილია პრეტენზიები აღმოსავლეთ ოსეთზე და რუსი პარაპლანისტის ისტორია.

– რომელი პარაპლანისტი, გუდაურში რომ გალახეს?

– მაგაზე ვლაპარაკობ. ამბობდნენ, რომ ეს ყველაფერი ბიზნესის ნიადაგზე მოხდა, რაშიც პირადად მე ეჭვი მეპარება. ნაცემ მფრინავთან დაკავშირებით სოციალურ ქსელებში ძალიან საინტერესო ინფორმაციები გავრცელდა. დაიდო ფოტოფაქტები, საიდანაც ჩანს, რომ ეს პირი 2008 წლის აგვისტოს ომში იბრძოდა.

– ვის მხარეს?

– ცხადია, ჩვენი მოწინააღმდეგის მხარეზე. უნდა გავარკვიოთ, როგორ მოხვდა ეს ადამიანი საქართველოში და როგორ მოიპოვა ბიზნესის წარმოების უფლება. ის დაფრინავს და საშუალება აქვს, ძალიან ბევრ სტრატეგიულ ობიექტს გადაუღოს ფოტო, რასაც ალბათ თავის ხელისუფლებას მიაწვდის.

– სერიოზული ეჭვებია რუს გიდებთან დაკავშირებით, რომლებსაც საქართველოში მუშაობის უფლება მისცეს. ისინი თავისუფლად გადაადგილდებიან მთელი ქვეყნის მასშტაბით და უზარმაზარი ინფორმაციის მოპოვება შეუძლიათ. ის მაინც თუ ვიცით, რას წარმოადგენენ ეს რუსი გიდები?

– ამით ჩვენი სპეცსამსახურები უნდა დაინტერესდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ისედაც მუშაობენ, მაგრამ კიდევ მეტი უნდა მოინდომონ. ტურისტებს ვერ გააკონტროლებ, მაგრამ, ის უნდა გაარკვიონ, ვინ შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე.

სერიოზულად უნდა დაინტერესდნენ ჩვენი სპეცსამსახურები იმ რუსებით, რომლებიც საფეხმავლო ტურებში დადიან. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ დადიან ეს ადამიანები. იღებენ ფოტოებს და სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით რაღაც მონაცემებს იწერენ.

ვიღაცას ეს შეიძლება გაზვიადებულად მოეჩვენოს, მაგრამ უნდა გავითავისოთ, რომ საფრთხე ყველა ნაბიჯზეა. ადრეც ასე იყო, მაგრამ ახლა საფრთხეები კიდევ უფრო გაიზარდა.

– ახლა რატომ გაიზარდა?

– რამდენიმე თვეში არჩევნებია. არჩევნების წინ რუსეთი ყოველთვის ცდილობს საქართველოში სიტუაციის არევას. საპრეზიდენტო არჩევნებისთვის აქ შესაძლოა ძალიან დაიძაბოს ვითარება. ამას დავუმატოთ ისიც, რომ საქართველო დასავლეთს სულ უფრო უახლოვდება, რაც რუსეთის ინტერესებში ნამდვილად არ შედის.

მოვუწოდებ ხელისუფლებასა და ქვეყნის სპეცსამსახურებს, საზღვრისპირა და კონფლიქტისპირა რეგიონებს სათანადო ყურადღება მიაქციონ. გატაცებები, საზღვრების გადმოწევა და აღმოსავლეთ ოსეთის თემის გააქტიურება შემთხვევით არ ხდება. შიდა ქართლში პრობლემები უკვე შექმნილია. ხვალ რუსებმა ე.წ. ოსური ნაღმები შესაძლოა ყაზბეგში და დუშეთშიც აგვიფეთქონ.



– ოსური ნაღმების აფეთქებაში რას გულისხმობთ?

– ნებისმიერ პროვოკაციას. არც ამ რაიონებიდან გაუჭირდებათ ოკუპანტებს საქართველოს მოქალაქეების გატაცება. არც სხვა პროვოკაციებია მოულოდნელი. არ არის გამორიცხული, ვიღაცებმა ოსეთთან შეერთება მოითხოვონ. ამის პრეცედენტი უკვე იყო.

– ვინ და სად მოითხოვა ოსეთთან შეერთება?

– ეს მოთხოვნა დუშეთში გაჟღერდა.

– როდის?

– რამდენიმე წლის წინ. მაშინ მე დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარე ვიყავი. როგორც უკვე გითხარით, ამ რაიონში რამდენიმე ოსური სოფელია. ეს სოფლები ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონს ესაზღვრება.

ეს სოფლები ქართველებით დასახლებული სოფლებისგან არაფრით გამოირჩევა. იქაც ჩვეულებრივი ყოფითი პრობლემებია. ერთ-ერთ სოფელში გზა არ ჰქონდათ და გვითხრეს, თუ ამ პრობლემას არ მოგვიგვარებთ, ოსეთს შევუერთდებითო.

ეს მუქარა, ერთი შეხედვით, სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ, ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, ძალიან შემაშფოთებელია.

სერიოზული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ყაზბეგის მიმართულებითაც. ღმერთმა არ ქნას და მოწინააღმდეგემ თრუსო და კობი რომ დაიკავოს, გამოვლენ ცენტრალურ გზაზე და უპრობლემოდ მოსწყვეტენ ყაზბეგის რაიონს საქართველოს.

კიდევ ერთხელ მივმართავ ქართულ სპეცსამსახურებს, საზღვრისპირა და კონფლიქტისპირა რეგიონებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ. ჩვენი მეზობელი ღიად გვიწყობს პროვოკაციებს და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

გასული საუკუნის დასაწყისში ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ცხინვალი ოსების ხელში აღმოჩნდებოდა, მაგრამ რუსებმა ეს გააკეთეს.

ზაზა სარალიძე შსს-სთან პროტესტს კვირის ბოლომდე წყვეტს

ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში პროტესტს წყვეტს. შესაბამისი გადაწყვეტილება მან სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ მიიღო.

როგორც სარალიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ის არა შინაგან საქმეთა მინისტრს, არამედ მის მოადგილესა და ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსს შეხვდა. შეხვედრის დაწყებამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დავით სარალიძის მამა სწორედ გიორგი გახარიას უნდა შეხვედროდა.

ზაზა სარალიძეს არ უსაუბრია მედიასთან შეხვედრის დეტალების შესახებ და აცხადებს, რომ არ სურს, გამოძიების პროცესს ხელი შეუშალოს. მისი თქმით, შსს-სგან მომავალი 1 კვირის განმავლობაში კონკრეტულ ნაბიჯებს ელის და პროტესტს წყვეტს.

– შევთანხმდით, რომ კვირის ბოლომდე რადიკალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას. შესაბამისად, აქ აღარ გავჩერდები.კონკრეტულ დეტალებზე არ ვისაუბრებ, რათა ხელი არ შევუშალო ამ ნაბიჯებს, – აღნიშნა მან.

ზაზა სარალიძე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან 2 ივლისის შუადღიდან იმყოფებოდა. დავით სარალიძის მამა აცხადებდა, რომ შსს-ს ეზოში დარჩებოდა მანამ, სანამ თავისი შვილის მკვლელობაში მონაწილე პირებს არ დააკავებდნენ. მისი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ხორავაზე მომხდარ ჩხუბში მონაწილე მ.კ-ს დაკავება იყო.

5-7 ივლისს საქართველოში ტემპერატურა შედარებით დაიკლებს

აღმოსავლეთ საქართველოში 40 გრადუსამდე ჰაერის ტემპერატურა ხვალაც შენარჩუნდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს მოკლევადიანი პროგნოზების სამმართველოს უფროსმა დოდო გვაზავამ განუცხადა, აღმოსავლეთ საქართველოში დღეს დღისით ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 35-40 გრადუსი იქნება. დასავლეთ საქართველოში კი, ტემპერატურა შედარებით დაიკლებს და 30-32 გრადუსია მოსალოდნელი, მთიან რაიონებში – 31-33 გრადუსი იქნება. ამასთან, დასავლეთ საქართველოში ღამისა და საღამოს საათებში შესაძლებელია იყოს ხანმოკლე წვიმაც.

რეგიონი

ახალციხეში ხიდზე მიმდინარე სამუშაოებისას 35 წლის მამაკაცი დაიღუპა

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში 35 წლის მამაკაცი ხიდზე სამუშაოებისას დაიღუპა.

გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დენმა დაარტყა და ადგილზე დაიღუპა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სამთო სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

ყვარელში 50 წლამდე ასაკის ქალი გველმა დაკბინა – პაციენტის მდგომარეობა დამძიმდა

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შაქრიანში 50 წლამდე ასაკის ქალი გველმა დაკბინა.

დაშავებული თავდაპირველად სასწრაფო დახმარების ბრიგადამ თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც ინტოქსიკაციის საწინააღმდეგო შრატი გაუკეთდა, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო თბილისში ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო.

ბათუმში საცხოვრებელ სახლში ხანძარი გაჩნდა

ბათუმში საცხოვრებელ სახლში ხანძარი გაჩნდა. როგორც სახანძრო-სამაშველო სამსახურში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე სახანძრო-სამაშველო ბრიგადები მუშაობდნენ.

ხანძარი ამ დროისთვის ლიკვიდირებულია.

ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 187-ე მუხლით დაიწყო, რაც ხანძრის შედეგად ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

ზუგდიდის ცენტრალური ბაზრის მიმდებარედ პრესის ჯიხური გაქურდეს

ზუგდიდის ცენტრალური ბაზრის მიმდებარედ პრესის ჯიხური გაქურდეს. შემთხვევა გუშინ ღამით მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ჯიხურის მეპატრონე მარინა კიკალიამ განუცხადა, წაღებულია 600 ლარამდე ღირებულების სიგარეტები და სხვა ნივთები.

– პოლიციაში დღეს დილით მივედი, მითხრეს, რომ ერთ-ერთი პირი დააკავეს, რომელიც არასრულწლოვანია. მაგრამ ამბობენ, რომ მასთან სხვა პირიც იყო, რომლის იდენტიფიცირებაც ვერ მოხერხდა. მარტო სიგარეტი იყო 600 ლარის. ასევე წაღებულია ენერგეტიკული სასმელები, საღეჭი რეზინი და ნაყინი, – ამბობს მარინა კიკალია.

2 ივლისს, დაახლოებით 16:00 საათზე, საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარებამ ისტორიულ პიკს მიაღწია

საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარებამ 2 ივლისს, დაახლოებით 16:00 საათზე, ტემპერატურის მკვეთრი მატების გამო ისტორიულ პიკს მიაღწია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „საქართველოს ელექტროსისტემიდან“ აცნობეს, საქართველოს ენერგოსისტემის პიკური მოხმარება – 1920 მგვტ დაფიქსირდა, რაც 80-იანი წლების შემდეგ ზაფხულის პერიოდისთვის რეკორდული მაჩვენებელია.

– ბოლო პერიოდში, მაღალი ტემპერატურის გამო, საქართველოს ენერგოსისტემაში საგრძნობლად გაიზარდა ელექტროენერგიის მოხმარება. მოხმარების აღნიშნული მაჩვენებელი 12%-ით აღემატება შარშანდელი ანალოგიური პერიოდის სიდიდეს. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, საქართველოს ენერგოსისტემის ზაფხულის პიკური მოხმარების ზრდის ტემპი აჭარბებს ზამთრის პიკური მოხმარების ზრდის ტემპებს და ეს ტენდენცია მომდევნო წლების განმავლობაშიც შენარჩუნდება, – ნათქვამია „საქართველოს ელექტროსისტემის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პრეზიდენტს უფლებამოსილება ეზღუდება

მმართველი გუნდის მიზანი არა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის კონსტიტუციასთან ჰარმონიზაცია, არამედ, იუსტიციის მინისტრის მსოფლმხედველობის მიხედვით, პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვაა.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ანა ნაცვლიშვილი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებულ ცვლილებებს პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ სამწუხარო პოლიტიკის გაგრძელებას უწოდებს და აცხადებს, რომ მმართველი გუნდის რეალურ მიზანს არა კანონის კონსტიტუციასთან ჰარმონიზაცია, არამედ იუსტიციის მინისტრის მსოფლმხედველობის მიხედვით, პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვა წარმოადგენს.

– იუსტიციის მინისტრი საჯარო განცხადებებით ამბობდა, რომ კომისია ცდილობს და ახერხებს, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს პრეზიდენტს. კონსტიტუციის და კანონის რომელ ჩანაწერს ეფუძნებოდა იუსტიციის მინისტრის ეს განცხადებები და რა უფლებამოსილება აქვს კომისიას, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს პრეზიდენტს, რომელიც კონსტიტუციით ერთადერთ გადაწყვეტილების მიმღებ პირადაა დადგენილი? – ალბათ კარგი იქნება, რომ ამას თვითონ გასცეს პასუხი. ანუ, ის ერჩოდა ამ კომისიას, ერჩოდა პრეზიდენტის უფლებამოსილებებს და სამწუხაროდ, ახლა ამ შესაძლებლობას იყენებს, რომ კანონით განმტკიცდეს მისი ეს მიმართება კომისიასთან, – აღნიშნა ანა ნაცვლიშვილმა.

მისი თქმით, მიუღებელი და არასწორია ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებების კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან დაკავშირება.

– დადასტურდა, რისი ეჭვიც მქონდა, რომ საერთოდ არაფერ შუაში არ არის ამ კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა. ეს არის კიდევ ერთხელ უნდობლობა სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტის მიმართ და ინსტიტუტის რყევა. განხორციელდა უფლებამოსილებების შეკვეცა და თითქოს ამ ყველაფრის დაბრალება ახალი კონსტიტუციისთვის, რაც ფაქტობრივად არასწორია. მე ვითხოვდი, რომ მიეთითებინათ კონსტიტუციის კონკრეტული მუხლი, პუნქტი, რომელსაც აფუძნებენ ამ ცვლილებებს და ვერავინ ვერ მიუთითა ეს, იმიტომ რომ ეს არ არსებობს, – განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა.

საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე ანა ნაცვლიშვილმა კანონში ცვლილებების პროექტის ის კონკრეტული მუხლები გააკრიტიკა, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებებს ზღუდავს.

ანა ნაცვლიშვილის განცხადებით, ცვლილებების მოხედვით, საქართველოს პრეზიდენტს ერთმევა მოქალაქეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის უფლება, ეზღუდება კომისიის საქმიანობის წესის განსაზღვრის უფლება, ასევე, მოქალაქეებს აღარ ექნებათ გამონაკლისი წესით მოქალაქეობის მოთხოვნის მიზნით პრეზიდენტისთვის პირდაპირი წესით მიმართვის შესაძლებლობა.

იუსტიციის სამინისტროში პენიტენციარული სამსახური შეიქმნება

იუსტიციის სამინისტროში სასჯელაღსრულების სამინისტროს გაერთიანების შემდეგ პენიტენციარული სამსახურის სპეციალური საქვეუწყებო დაწესებულება შეიქმნება.

ამის შესახებ იურიდიული კომიტეტის სხდომაზე, სადაც სტრუქტურულ ცვლილებებს განიხილავენ, სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე სანდრო დარახველიძემ განაცხადა.

– წარმოდგენილი პაკეტის თანახმად, იქმნება იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი სპეციალური საქვეუწყებო დაწესებულება – პენიტენციარული სამსახური, რომელიც მოიცავს იმ ფუნქციებს, რაც დაკავშირებულია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებასთან. იუსტიციის სამინისტროში გადადის საგამოძიებო დეპარტამენტიც, – განაცხადა დარახველიძემ.

იუსტიციის სახლთან დაკავებულ არასრულწლოვანს 80-მდე ქურდობაში აქვს მონაწილეობა მიღებული

იუსტიციის სახლთან გუშინ დაკავებულ არასრულწლოვანს გამოძიება 80-მდე სხვადასხვა ქურდობაში მონაწილეობას ედავება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, სს „ელიტ ელექტრონიქსის“ მაღაზიის გაქურდვის ფაქტზე გამოძიების ფარგლებში, პოლიციის თანამშრომლებმა 2004 წელს დაბადებული მ.ბ. საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. აღნიშნულ ქურდობასთან დაკავშირებით სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერებმა აჩვენა, რომ ქურდობაში მონაწილე ერთ-ერთი პირი სწორედ 14 წლის ასაკს მიღწეული მ.ბ. იყო.

– აღსანიშნავია, რომ მ.ბ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის მიღწევამდე 80-მდე ქურდობის ფაქტში მონაწილეობდა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონის შესაბამისად, მას ამ დრომდე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრა. ამ უკანასკნელი ქურდობის დროს, რომელშიც მ.ბ. იმხილება, ის უკვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული იყო, რის გამოც შესაბამისი საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელების მიზნით პოლიციის განყოფილებაში იქნა გადაყვანილი.

პოლიციის განყოფილებაში არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მოყვანა დაუყოვნებლივ იქნა უზრუნველყოფილი, თუმცა მან არასრულწლოვნის საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და ორივე მათგანმა პოლიციის განყოფილება დატოვა, – აღნიშნულია შს სამინისტროს განცხადებაში.

განათლების მინისტრის მოადგილის დას სახელმძღვანელოს ლობირებაში ადანაშაულებენ

განათლების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურის დას სახელმძღვანელოს ლობირებაში ადანაშაულებენ.

გამომცემლობა „დიოგენეს“ ხელმძღვანელი აცხადებს, რომ მათი სახელმძღვანელოს შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია განათლების მინისტრის მოადგილის დისთვის გახდა ცნობილი. მისი თქმით, ინფორმაციამ, რომელიც წესით კონფიდენციალური უნდა ყოფილიყო, განათლების სამინისტროდან გაჟონა.

გარდა ამისა, არსებობს დოკუმენტი, სადაც წერია, რომ განათლების მინისტრის მოადგილის და იმ სახელმძღვანელოს თანაავტორია, რომელსაც გრიფს სამინისტრო ანიჭებს. ეს კი ინტერესთა კონფლიქტს ქმნის და კანონით აკრძალულია.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტური გამოძიება სტუდია მონიტორმა ჩაატარა.

ჟენევის ფორმატს საფრთხე არ შეექმნება?

აფხაზეთი მწვავე ენერგოკრიზისის წინაშე დგას

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთი მისი „დამოუკიდებლობის" მაღლიერებელი სიხიის მიწვევით დამასპოს საერთაშორისო ბაზრობაში ჩაერთვება.

ბაზრობა სექტემბრის დასაწყისში გაიმართება. აფხაზეთს პავილიონის მოსაწყობად 100 კვადრატული მეტრი ექნება დათმობილი საკონცერტო და საგამოფენო მოედნებით. ბაზრობის დროს სირიაში მოეწყობა აფხაზეთის დღეც. ოკუპირებულ რესპუბლიკას 45-კაციანი დელეგაცია წარმოადგენს. მისი წევრები გააფორმებენ სხვადასხვა შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ.

სოხუმში უკვე დაიწყეს მუშაობა სირიის ბაზრობაზე წარსადგენი საგამოფენო სტენდების დიზაინზე და პროგრამაზე ექსპოზიციის განმარტებებისათვის. თავისი წინადადებები აქვს აფხაზეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს. აფხაზი მაშველები მზად არიან, მოხალისეებად იმსახურონ ამ არაბულ რესპუბლიკაში.

შეგახსენებთ, რომ სირიის მხრიდან საქართველოს ორი რეგიონის აღიარების შემდეგ საქართველომ მასთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა. ცოტა ხნის წინ საქართველოს საჰაერო სივრცე დაიხურა სირიის ავიაკომპანიებისთვის. მათი თვითმფრინავები სირიიდან რუსეთში და პირიქით დაფრინავდა.

ამაზე სირიას, კრემლს და მის საოკუპაციო რეჟიმს სოხუმში რეაგირება არ მოუხდენიათ. მათი პროტესტი „ოთხოზორია-ტატუნაშვილის" სიას მოჰყვა. მასში 33 კაცია შეყვანილი, აქედან 26 აფხაზია.

სოხუმმა ამ ნაბიჯს დესტრუქციული და პროვოკაციული უწოდა და უარი თქვა იმ შეხვედრებში მონაწილეობაზე, რომლებიც ინციდენტების თავიდან აცილებას და მათზე რეაგირებას უკავშირდება.

ამ რიტორიკას აგრძელებს რუსეთის საგარეო უწყება. 2 ივლისს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ კეთილი განზრახვების დეკლარირების მიუხედავად, თბილისი თავისი პოლიტიკური გადაწყვეტილებებით ართულებს ურთიერთობას სოხუმთან და ცხინვალთან. ამის ერთ-ერთ მაგალითად მან „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია" მოიყვანა.

ბოლო დროს რამდენჯერმე გაისმა, რომ შესაძლოა, ჩაიშალოს ჟენევის მრავალმხრივი მოლაპარაკებები.

ევროკავშირის სპეცწარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ტოივო კლაარი და გრიგორი კარასინი აღნიშნავენ, რომ ჟენევის ფორმატი პროგრესულია და ხელს უწყობს მშვიდობასა და სტაბილურობას სამხრეთ კავკასიაში.

თუ ეს განცხადებები რეალობას ასახავს, მაშინ ჟენევის მოლაპარაკებების ჩაშლას არც სოხუმი და ცხინვალი ეცდებიან. აფხაზეთისთვის ჟენევის მოლაპარაკებები ორმაგად მნიშვნელოვანი ხდება იმ დროს, როცა აფხაზეთის ოფიციალურ პირებს აეკრძალათ იმ საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობა, რომლებიც ორგანიზებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

შეზღუდვა არ ეხება აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატას, რომელიც ინვესტიციების მოსაზიდად უცხოეთში დადის და ბიზნესმენებს ხვდება.

უცხოელ ინვესტორს, რომელიც დაარღვევს საერთაშორისო ნორმებს და გარისკავს თანხების დაბანდებას აფხაზეთში, ენერგოკრიზისის პირობებში მოუწევს მუშაობა.

აფხაზეთში დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების პრობლემა დღემდე არ მოგვარებულა. ამ მიზნით რაიონებსა და ქალაქებში შექმნილია სპეციალური კომისიები, თუმცა მათ მუშაობას ჯერ შედეგი არ მოუტანია. 2017 წელს დავალიანებამ 300 მილიონ რუბლზე მეტი შეადგინა. ვალის გასტუმრების მაჩვენებელი არ გაუმჯობესებულა.

ეკონომიკის სამინისტროს და „ჩერნომორენერგოს" გადაწყვეტილებით, ურჩ გადამხდელებს, რომელთა შორის მუნიციპალური საწარმოებიც არიან, ივლისის ბოლომდე ადროვებენ, შემდეგ კი მათ სიას გამოაქვეყნებენ.

– თუ ელექტროენერგიის დეფიციტი გვექნება, ვერანაირ განვითარებაზე ვერ ვისაუბრებთ, – აღიარებს ეკონომიკის მინისტრი ადგურ არძინბა.

მისი თქმით, ელექტროენერგია აფხაზეთში უიაფესია, მაგრამ მის საფასურს მაინც არ იხდიან.

რეგულაციები მცირე მეწარმეებს ბიძგს მისცემს

საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი მიშა ჭელიძე აცხადებს, რომ ახალი რეგულაციები ეტაპობრივად გაზრდის მცირე და საშუალო საწარმოების წილს მთლიან შიდა პროდუქტში, ხოლო მოკლევადიან პერსპექტივაში მცირე მეწარმეები რაოდენობრივად გაიზრდებიან.

საქმე ეხება საკანონმდებლო ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, ივლისიდან, მცირე ბიზნესის წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, ძალაში შევიდა დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი. რეგულაციების თანახმად, მცირე ბიზნესი 1 ივლისიდან, ნაცვლად 5%-ისა, 1%-ით დაიბეგრება.

– ახალი რეგულაციები მცირე მეწარმეებს წაახალისებს. ისინი დაზოგილ თანხას თავიანთი ბიზნესის განვითარებას მოახმარენ. რაოდენობრივად მცირე მეწარმეები გაიზრდებიან, შემდგომ კი რაოდენობრივად გაზრდილი მეწარმეები უფრო მეტ დოვლათს შექმნიან. არსებობენ ისეთი პირები, რომლებიც არ არეგისტრირებენ საკუთარ საქმიანობას, რადგან არ უნდოდათ გადასახადების გადახდა. ამ ადამიანებისთვის ცვლილებები ბიძგი იქნება, რომ ერთი პროცენტის პირობებში წავიდნენ, დარეგისტრიდნენ და დაადასტურონ თავიანთი შემოსავლები, – აცხადებს მიშა ჭელიძე.

მცირე მწარმოებელთა და მცირე ბიზნესის კავშირის თავმჯდომარე გიორგი ქუთათელაძე კი აცხადებს, რომ სახელმწიფოსთვის უკეთესი იქნებოდა რეგულაციები მხოლოდ მცირე წარმოებებზე გავრცელებულიყო, რადგან ბიუჯეტს შედარებით ნაკლები თანხა დააკლდებოდა.

– რეგულაციები დიდი შეღავათია ქართული წარმოებისთვის. კარგი იქნებოდა დაბეგვრის ახალი რეჟიმი დიფერენცირებული ყოფილიყო. ეს რომ გავრცელებულიყო ყველაზე სუსტ რგოლზე, მცირე მწარმოებებზე, რომელიც სულს ღაფავს საქართველოში, უფრო კარგი იქნებოდა, რადგან ბიუჯეტს უფრო მცირე თანხა დააკლდებოდა, – აცხადებს გიორგი ქუთათელაძე.

კომერსანტი

„ბიუ ბიუს" დამფუძნებელი: „მენტალურად მთავრობა განვითარებას ჩამორჩა"

„მენტალურად მთავრობა განვითარებას ჩამორჩა".

ამის შესახებ საქმიანი დილის ეთერში „ბიუ-ბიუს" დამფუძნებელმა რევაზ ვაშაკიძემ განაცხადა. მისი განმარტებით, ქვეყანაში არ კეთდება აქცენტები ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა ჯანსაღი კვება.

– ჩვენ ბიზნესის განვითარება დაგეგმილი გვქონდა ქვეყნის განვითარებიდან გამომდინარე. მე მეგონა უფრო მეტი ევროპა იქნებოდა საქართველოში ამ წლების განმავლობაში, უფრო მეტი ცივილიზაცია და სურსათით უზრუნველყოფა იქნებოდა. მედიცინა მიმართულია მხოლოდ წამლებზე და მკურნალობაზე... მე არ მქონია არცერთი შეხვედრა ჯანდაცვის მინისტრთან, ან მის მოადგილეებთან კვების თაობაზე. კვება, ცილოვანი საკვების მიღება აუცილებელია ადამიანის ნორმალური განვითარებისთვის. დღეს საქართველოში შემოდის ისეთი საკვები, რომელიც ბევრ დაავადებებს იწვევს ბავშვებში, მოზარდებში და შედეგად ჯანდაცვაში უფრო მეტი ფული იხარჯება, – განაცხადა რევაზ ვაშაკიძემ.

როგორც ბიზნესმენი აცხადებს, მეორე უმნიშვნელოვანესი პრობლემა საქართველოში მოსახლეობის მიგრაციაა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე პირდაპირ აისახება.

არ გვეგონა, თუ 2012 წლიდან საქართველოს მოსახლეობა კვლავ შემცირდებოდა. მცირდება ის ხალხი, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურია. ჩვენ ამას ძალიან ვგრძნობთ, რადგან პროდუქციის მოხმარებაზე პირდაპირ აისახება, – განაცხადა „ბიუ-ბიუს" დამფუძნებელმა.

მისივე თქმით, პრობლემა მთავრობაშია, რადგან ის ვერ პასუხობს ქვეყნის გამოწვევებს. პრობლემა არის ის, რომ მენტალურად მთავრობა ჩამორჩა განვითარებას. საქართველო საკმაოდ ჭკვიანი და ნიჭიერი ხალხისგან შედგება და, თუ იქნება შესაბამისი პირობები, აუცილებლად განვითარდება ქვეყანა, – განაცხადა რევაზ ვაშაკიძემ.

BM.GE

ყვითელი „მარშრუტკების" ნაწილს გზებზე გადაადგილება აეკრძალა

2018 წლის 3 იანვრიდან ტექნიკური ინსპექტირება 38.199 სამგზავრო და სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებამ გაიარა, საიდანაც 858 სატრანსპორტო საშუალებას გზაზე გადაადგილება აეკრძალა. ამის შესახებ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა შალვა ურიადმყოფელმა რადიო „პალიტრის" გადაცემა „საქმეში" განაცხადა.

მისივე თქმით, იმ სატრანსპორტო საშუალებებს შორის, რომლებსაც გზებზე გადაადგილება აეკრძალა და შეკეთებასაც კი არ ექვემდებარებიან, ყვითელი მიკროავტობუსებიც მოხვდა.

– უახლოეს მომავალში გამოვაქვეყნებთ ტექნიკური ინსპექტირების შედეგებზე სტატისტიკურ მონაცემებს. მათ შორის არის ტრანსპორტი, რომელიც სამგზავრო გადაყვანებს ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ წინასწარ რა ინფორმაციაც მაქვს, ყვითელი სამარშრუტო ტაქსების გარკვეული რაოდენობა იმ სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალში მოხვდა, რომლებსაც გზებზე გადაადგილება აეკრძალათ და ისინი შეკეთებასაც კი არ ექვემდებარებიან, – აღნიშნა ურიადმყოფელმა.

ამასთან, რაც შეეხება ტექინსპექტირების სტატისტიკას, 38.199 სამგზავრო და სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან 28.574 გამართული აღმოჩნდა, 8.767 ტექინსპექტირების გავლისას დახარვეზდა; 6.202-მა ინსპექტირება განმეორებით გაიარა; 257 კი განმეორებით დახარვეზდა. შეგახსენებთ, რომ 2018 წლის 1-ლი იანვრიდან ტექნიკური ინსპექტირება სამგზავრო და სატვირთო ავტომობილებისთვის, 1-ლი ივლისიდან კი სახელმწიფო უწყებებისა და იურიდიული პირების კუთვნილებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ამოქმედდა.

იპნ

ივანიშვილის პირადი იურისტი და წულუკიანის ნათლულის მამა — გახდება თუ არა შალვა თადუმაძე მთავარი პროკურორი?

გავრცელებული ინფორმაციით, მმართველი გუნდი მთავარი პროკურორობის კანდიდატად მთავრობის ადმინისტრაციის უფროს შალვა თადუმაძეს განიხილავს.

ჯერჯერობით უცნობია, შეჩერდება თუ არა საბოლოო არჩევანი თადუმაძეზე, რომელიც, ბიძინა ივანიშვილის პირადი იურისტის გარდა, თეა წულუკიანის ნათლულის მამაა.

ოპოზიციაში თემაზე კომენტარის გაკეთებისას აცხადებენ, რომ „ქართული ოცნება" საზოგადოების მოთხოვნას არ გაიზიარებს და ბიძინა ივანიშვილი მთავარ პროკურორად მისთვის სასურველ პირს დანიშნავს.

– ივანიშვილს სჭირდება მის მიერ პირდაპირ კონტროლირებადი პროკურატურა და გახარიას უწყება, იმიტომ, რომ ამ ორი უწყების მეშვეობით აკეთებს ის ყველაზე შავ საქმეს, რაც სჭირდება ძალაუფლების შენარჩუნებისთვის, – განაცხადა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ბოკუჩავამ.

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, რომელიც 30-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს, მთავარი პროკურორის არჩევის შეჩერებას მოითხოვს.

არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ მთავარი პროკურორის არჩევის მოქმედი წესი, ასევე საპროკურორო საბჭოს მოწყობა მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს და არ არის თავისუფალი პოლიტიკური დაინტერესებისგან.

– მთავარი პროკურორის კანდიდატურის შერჩევის პროცესს კვლავ იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს, რაც ამყარებს რწმენას, რომ კანდიდატი ვერც ამჟამად უპასუხებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნას, – ნათქვამია NGO-ების განცხადებაში.

არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებას მოუწოდებენ, რომ შეაჩეროს მთავარი პროკურორის მოქმედი წესით არჩევის პროცესი; შეიტანოს ძირეული ცვლილებები მთავარო პროკურორის არჩევის წესში და ჩამოშორდეს პროცესს იუსტიციის მინისტრი.

ლარსის საბაჟო პუნქტი შეფერხებით რუსული მხარის მიზეზით მუშაობს

საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“ მეექვსე დღეა, შეფერხებით მუშაობს. ნაცვლად 400-500 სატვირთო ავტომობილისა, გამშვები პუნქტი 24 საათის განმავლობაში 240-მდე მანქანას ატარებს.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, შეზღუდვის მიზეზი რუსეთის ფედერაციის საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ დაწესებული ლიმიტია. რუსი მებაჟეების განცხადებით, ტურისტულ სეზონზე მათთვის პრიორიტეტი, ტურისტებისა და მათი მსუბუქი ავტომანქანების მომსახურებაა.

– ქართული მხარის შეთავაზების მიუხედავად, დღე-ღამის განმავლობაში, სატვირთო მანქანების გადაადგილების მიმართულების შეცვლის სქემის გამოყენების თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს პარალელურად მსუბუქი ავტომანქანების შეუფერხებლად გადაადგილებას, ასევე გამტარი ზოლების სრულად გამოყენებას, რაც ასევე რუსული მხარის მიერ შეზღუდულია, რუსული მხარე კვლავაც მხოლოდ ერთი გამტარი ზოლის (გეითის) გამოყენებით ახორციელებს სატვირთო მანქანების გატარებას, – ნათქვამია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სამსახურის ცნობით, ამ დროისთვის საქართველოს მხარეს რუსეთის მიმართულებით გადაადგილების მიზნით 600-ზე მეტი სატვირთო მანქანაა გაჩერებული.

კომერსანტი

ორი დამსკანერებელი და მათი დამხმარე ბიუჯეტს 16.260 ლარი დაუჯდება

იმ დროს, როცა პარლამენტში მცირე მთავრობის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებები განიხილება, რაც, ახალი პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ბიუროკრატიის მაქსიმალურად შემცირებასა და საბიუჯეტო თანხების დაზოგვას გულისხმობს, აჭარის მთავრობა დამსკანერებელსა და მის თანაშემწეს ეძებს. ამისათვის ბიუჯეტიდან ერთ წელიწადში 16.260 ლარია გათვალისწინებული.

დამსკანერებლისა და მის დამხმარის ვაკანსიაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება, საარქივო სამმართველო, გამარტივებულ კონკურსს აცხადებს. საარქივო სამმართველო დამსკანერებელს ქობულეთსა და ხელვაჩაურში ეძებს, ხოლო დამსაკნერებლის დამხმარეს – ბათუმში.

დამსკანერებელის სარგო 500 ლარს შეადგენს, ხოლო მისი დამხმარის – 355 ლარს.

დამსკანერებელის მოვალეობაა ეროვნული საარქივო ფონდის საქმეთა გაფორმების სისწორის შემოწმება და მომზადება სკანირებისათვის, ხოლო მისი დამხმარის – შეკვეთის ფურცლის საფუძველზე არქივის საცავიდან დასასკანერებელი საქმეების მიღება და საქმეების საბოლოოდ გაციფრულების შემდეგ დაბრუნება საცავში. ბიუჯეტიდან ერთ წელიწადში ორი დამსკანერებელისთვის 12.000 ლარი უნდა გამოიყოს, ხოლო დამხმარე დამსკანერებელისთვის 4.260 ლარი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ დაახლოებით ერთი კვირის წინ მცირე მთავრობის კონცეფცია წარმოადგინა. მისი მიზანია, საჯარო მოხელეთა ბიუროკრატია მაქსიმალურად შეამციროს.

საქართველოდან 2,955 ტონა ატამია ექსპორტირებული

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის 2 ივლისის მონაცემებით, საქართველოდან 2,955 ტონა ატამია ექსპორტირებული, რაც 2,610 ტონით (9-ჯერ) აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

ექსპორტირებული ატმის საერთო ღირებულება, 2 ივლისის მდგომარეობით, 1,619 ათასი აშშ დოლარს შეადგენს. ატმის საბითუმო ფასი 30-დან 70 თეთრამდე მერყეობს. ატმის ექსპორტი, ძირითადად, რუსეთის ფედერაციაში (63,8%), აზერბაიჯანის რესპუბლიკაში (17,4 %), სომხეთის რესპუბლიკაში (15,5%), ასევე უკრაინაში, ყაზახეთში, კატარსა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში ხორციელდება.

ატმის მოსავლის აღების, ჩაბარებისა და რეალიზაციის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ქალაქ გურჯაანში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფისში ფუნქციონირებს საორგანიზაციო შტაბი.

შექმნილია ჯგუფი ფიტოსანიტარიული, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო და საბაჟო სამსახურების წარმომადგენლების შემადგენლობით. აღნიშნული ჯგუფი „ერთი ფანჯრის“ პრინციპით უზრუნველყოფს საჭირო საექსპორტო დოკუმენტაციის მომზადებას და გაცემას.

10-15 ივლისიდან, მას შემდეგ, რაც „ატმის რთველი“ აქტიურ ფაზაში შევა, ქვეყნის მასშტაბით ატამს 2 გადამამუშავებელი ქარხანა ჩაიბარებს (თელავში, შპს „აჩინებული“ და გორში „კულა“). საჭიროების შემთხვევაში გაიხსნება გურჯაანში არსებული ქარხანაც.

კომერსანტი

საქართველოში ბინების 70-80% განვადებით იყიდება

სამშენებლო კომპანიების გაყიდვების 70-80% განვადებაზე მოდის. როგორც დეველოპერების ნაწილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, ნაღდი ანგარიშსწორებით ბინების მხოლოდ 20-28% იყიდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას ბინის შეძენა ერთჯერადი გადახდით არ შეუძლია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა 90,8%-ით გაიზარდა. ამავე სტატისტიკის მიხედვით, 2018 წლის მაისში საქართველოში სულ 77.954 ტრანზაქცია განხორციელდა, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 2014 წლის მაისში 40.836 იყო.

რაც შეეხება ისევ 2018 წლის მაისს, წინა თვესთან შედარებით სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა 16%-ით გაიზარდა: ზრდა დაფიქსირდა როგორც პირველადი (25.5%-ით), ისე მეორადი (13%-ით) სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობაში. აპრილში სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ 67.223 ერთეული შეადგინა.

როგორც სამშენებლო კომპანია „ფრანგული უბანში“ აცხადებენ, რომ მათი გაყიდვების 49% შიდა განვადებაზე მოდის, 23% – ბანკის განვადებაზე (იპოთეკაზე), ხოლო ნაღდი ანგარიშსწორებით ბინების მხოლოდ 28% იყიდება.

გაყიდვების 80%-ს განვადება შეადგენს დეველოპერულ კომპანია „ბინადარშიც“. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის არჩილ ჯაყელის თქმით, ნაღდი ანგარიშსწორებით ბინების მხოლოდ 20% იყიდება.

– ჩვენს კომპანიას საბანკო განვადება არა, მაგრამ შიდა განვადება აქვს. შემიძლია თქვა, რომ გაყიდვების 80% მაინც განვადებაზე მოდის.

დანარჩენი 20% იყიდება მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით, – აცხადებს არჩილ ჯაყელი.

შედარებით განსხვავებული მაჩვენებელი აქვს დეველოპერულ კომპანია „რედკოს“. როგორც კომპანიის პროექტების მენეჯერი მალხაზ კუნელაური აცხადებს, მათი ბინების 40-45% საბანკო განვადებით იყიდება, დაახლოებით 10% – შიდა განვადებით, დარჩენილი კი – ნაღდი ანგარიშსწორებით.

BPN

აკაკი ზოიძე ზურაბ ჭიაბერაშვილს: „მითები შვილებსა და შვილიშვილებს მოუყევით“

– თქვენ ეკონომიკური ზრდის პირობებში გეზრდებოდათ სიღარიბე. 2013 წლის შემდეგ სიღარიბე შემცირებულია. ცნობილი მითების შემქმნელია ბატონი ზურაბი.

მცირე მთავრობა ნიშნავს იმას, რასაც გვთავაზობს ბატონი პრემიერი. ტყუილებს იძახით ბატონო ზურაბ. თქვენ რასაც ამბობთ მაგას ჰქვია მცირე სახელმწიფო და არა მცირე მთავრობა. ადმინისტრაციული დანახარჯები, რომელიც არის 4.% და არა 27, 32 და რაღაც ციფრებს რომ იძახით და შემცირდება 3.9%-მდე. თქვენ რასაც ამბობთ, ეს არის ბიუჯეტის ზომა ეკონომიკის ზომასთან. ეს არის სახელმწიფოს მხრიდან განკარგვადი და არავითარი ბიუროკრატიული ხარჯები ეს არ არის. ეს არის ხარჯები ჯანდაცვაზე, განათლებაზე, თავდაცვაზე, ეს არის ხარჯები, რისთვისაც სახელმწიფო გვაქვს. თუ თავადი კროპოტკინის მიმდევარი ბრძანდებით და ამის ეჭვი დიდი ხანია მაქვს, მაშინ დაიწერეთ, რომ ანარქია არის წესრიგის დედა და ევროპული ბაზარი დაარეგულირებს საქართველოს. ჯანდაცვა თქვენ არ გინდათ, განათლება არ გინდათ და დაგვანებე თავი. მცირე მთავრობა არის არა მხოლოდ სამინისტროების გაერთიანება, არამედ კონცეფცია, რომელსაც ჩვენ ვატარებთ. ადმინისტრაციული ხარჯები შემცირდება, სამინისტროების ოპტიმიზაცია მოხდება, რაც მოიტანს, რომ ნაკლები დანახარჯი წავა ადმინისტრაციაზე და უფრო მეტი მოხმარდება ადამიანს. მითები ბატონო ზურაბ, თქვენს შვილებს და შვილიშვილებს მოუყევით, – ასე უპასუხა ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ ევროპული საქართველოს წარმომადგენელ ზურაბ ჭიაბერაშვილს.

მთავრობის სტრუქტურული ცვლილების განხილვას პარლამენტის რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე კამათი მოჰყვა.

– მთლიანად ჩვენი ბიუროკრატია ყოველი 100 ლარიდან 35 ლარია. ამხელა პაკეტი, რაც წარმოდგენილია, არის სახელწოდების ცვლილებები კანონებში და მეტი არაფერი. არანაირი კონკრეტული გეგმა, თუ როგორ უნდა შემცირდეს მთავრობის ზომა, მთავრობას არ წარმოუდგენია, – განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

საქართველოში ტურისტების რაოდენობა იზრდება – ქვეყნები, საიდანაც ყველაზე მეტი მოგზაური ჩამოვიდა

ივნისში საქართველოში 727,385 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა.

ამის შესახებ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, ტურისტების რაოდენობით ლიდერობს თბილისი და აჭარა. ადმინისტრაციის მონაცემებით, ივნისში ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორი რუსეთიდან შემოვიდა.

– 2018 წლის ივნისში საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა 727,385 ვიზიტი შედგა. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +13.8%-ია. საერთაშორისო ვიზიტორების განხორციელებულმა ვიზიტების რაოდენობამ 606,792 შეადგინა, ზრდა +14.2%-ია. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 399,989 შეადგინა, რაც 68,550-ით მეტია 2017 წლის ივნისის მაჩვენებელზე (ზრდა +20.7%).

ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტი რუსეთიდან (+27.5%), აზერბაიჯანიდან (+10%), სომხეთიდან (-5.5%) და თურქეთიდან +(14.7%) განხორციელდა.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების ზრდის კუთხით გამოირჩეოდნენ: ნიდერლანდები +73%, ჩეხეთი +72%, გერმანია +63.6%, საფრანგეთი +44.3%, პოლონეთი +36.7, გაერთიანებული სამეფო +32.5%, იტალია +27.2% და სხვა. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: საუდის არაბეთი +955.5%, ქუვეითი +395.8%, კორეის რესპუბლიკა +192.8%, არაბთა გაერთიანებული საამიროები +159.3%, ჩინეთი +92.3%, ბელორუსი +56.9%„, – ნათქვამია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის პერიოდს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ამ კომპონენტშიც ზრდა ფიქსირება.

– 2018 წლის იანვარ-ივნისის თვის მონაცემებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა 3,561,961 ვიზიტი შედგა. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +13.6%-ია. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულმა ვიზიტების რაოდენობამ 2,997,448 შეადგინა, ზრდა+16.4%-ია. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 1,933,774 შეადგინა, რაც 359,930-ით მეტია 2017 წლის იანვარ-ივნისის მაჩვენებელზე (ზრდა +22.9%), – აღნიშნავენ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში.

იბნ

„ვიფიქრე, რომ დავმარხო და გაცოცხლდეს, ხომ საშინელება იქნება?! ამიტომ ჩავარტყი ჩაქუჩი“

რა განუცხადა 82 წლის დის მკვლელობაში ბრალდებულმა გამოძიებას

„ვიფიქრე, რომ დავმარხო და გაცოცხლდეს, ხომ საშინელება იქნება?! ამიტომ ჩავარტყი ჩაქუჩი“ – ასე უპასუხა გუშინ გამართულ სასამართლო პროცესზე დის მკვლელობაში ბრალდებულმა რ. თავაძემ მოსამართლე გიორგი ზვიადაძეს მომხდარის გახსენებისას.

80 წლის რ. თავაძეს გამოძიება მისი დის, 82 წლის კლარა თავაძის მკვლელობას ედავება.

გთავაზობთ სასამართლო სხდომიდან მხარეების ჩვენებებს:

პროკურორი შოთა ჩხაიძე:

– რ. თავაძეს მიმდინარე წლის ივნისის თვეში, კონკრეტული თარიღი დადგენილი არ არის, კონფლიქტი მოუვიდა საკუთარ დასთან. და-ძმა ერთ სახლში ცხოვრობდა. ბრალდებული დასთან შელაპარაკების შემდეგ, წავიდა სათავსო ოთახში, გამოიტანა ჩაქუჩი და რამდენჯერმე ჩაარტყა თავში მისაღებ ოთახში მყოფ 82 წლის ქალბატონს. რის შედეგადაც მოხუცი ადგილზე გარდაიცვალა. ამის შემდეგ, თავაძემ დანაშაულის დაფარვის მიზნით, გვამი სახლიდან გაიტანა და საკუთარ ბოსტანში, ხის ძირში დამარხა. მას დღეს გამოძიება შეცდომაში მიზანმიმართულად შეჰყავს, რითიც საფრთხეს უქმნის იმ ადამიანებსა და საზოგადოებას, ვინც გამოძიებასთან ითანამშრომლა, არ არის გამორიცხული მან მსგავსი ტიპის დანაშაული ისევ ჩაიდინოს. როგორც ჩვენებებში მეზობლები აცხადებენ, მათ შორის ხშირი იყო კონფლიქტი და ხშირად იყო დის მისამართით მუქარაც ბრალდებულის მხრიდან.



რ. თავაძე, ბრალდებული:

– ბატონო მოსამართლე, მე საერთოდ არ მესმოდა, აქ რა ხდებოდა და რაზე ლაპარაკობდით თქვენ და პროკურორი. ახლა მე მოგიყვებით, რა მოხდა სინამდვილეში. რაც პროკურორმა ახლა ბრძანა, ეს არის მეზობლების მონაყოლი. ჩემი ცოლის გარდაცვალების შემდეგ, მე და ჩემი და ერთად ვცხოვრობდით და ერთმანეთთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა. მას ეპილეფსია ჰქონდა. იმ დღეს, როცა სახლში მივედი, ვნახე, რომ სამზარეულოში ფეჩთან იყო წაქცეული და თავი ჰქონდა დარტყმული. ამოვიყვანე, ვნახე, თითქმის მკვდარი იყო. დავასვენე მიწაზე და ვფიქრობდი, რა უნდა მექნა. ხომ არსებობს კლინიკური და ფიზიოლოგიური სიკვდილი? ვიფიქრე, ეს რომ გავახმოვანო, ყველა მე ჩამთვლის დამნაშავედ, დავმარხო? კაი და კლინიკური სიკვდილი აქვს და გაცოცხლდეს?! ამიტომ ავიღე ჩაქუჩი, რომ დამარხვის მერე არ გაცოცხლებულიყო და არ ეწვალა და ჩავარტყი თავში. შემდეგ დავმარხე. ეტყობა მეზობელმა დამინახა ამ პროცესში და პოლიციას შეატყობინა. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ არ უნდა დამემარხა. ერთი სული მაქვს, გარეთ როდის გავალ, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით უნდა დავასრულო. ისეთი სირცხვილი ვჭამე, ათეულობით წელი ამაზე ილაპარაკებენ მეზობლები.

გუშინ, 3 ივლისს, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე გიორგი ზვიადაძე), საკუთარი დის მკვლელობაში ბრალდებულს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

მოსამართლემ სრულად დააკმაყოფილა პროკურორ შოთა ჩხაიძის მოთხოვნა. რ. თავაძის ადვოკატი, დავით მამალაძე, მისი გათავისუფლების სანაცვლოდ 10 ათას ლარიან გირაოს ითხოვდა.

რ. თავაძე თავს დამნაშავედ არ ცნობს. პროკურორი კი მიიჩნევს, რომ ბრალდებულს გამოძიება მიზანმიმართულად შეჰყავს შეცდომაში და მისი გარეთ ყოფნა საფრთხეს უქმნის იმ ადამიანებს, ვინც გამოძიებასთან ითანამშრომლა. თანაც, ბრალდებული სასამართლო დარბაზში გათავისუფლებას იმ მიზნით ითხოვდა, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულოს.

ნიუპოსტი

ირაკლი ნოზაძე: „ბავშვობაში არალეგალურ ნარკოტიკულ ნივთიერებასთან შეხება მქონდა“

„ქუჩის ბიჭების“ ერთ-ერთი სოლისტი, ირაკლი ნოზაძე, მისი მკვლელობის მცდელობისთვის დაკავებულ თამთა ჯანჯღავასთან ურთიერთობის დეტალებზე საუბრობს.

მომღერლის განცხადებით, თანხა, რომლის გამოც ის დაჭრეს, ნარკოტიკული ნივთიერების შეძენას არ უკავშირდებოდა.

– იყო ჩემს ბავშვობაში მომენტები, როცა მქონდა შეხება არალეგალურ ნარკოტიკულ ნივთიერებასთან, მაგრამ ეს არ ყოფილა ზღვარს გადასული, არაფერი მსგავსი. ეს იყო ბავშვობის თავში ავარდნის წლები, რომელიც ძალიან მალე დასრულდა, თან შედეგიანად. მას შემდეგ მე არაფერი საერთო მქონია ამასთან და არც ვაპირებ რაიმე საერთო მქონდეს. პირიქით, მეც და ჩემი ჯგუფიც მხარს ვუჭერთ ჯანსაღი ცხოვრების წესს. პირადად ჩემი განწყობა არის, რომ გამსაღებლები მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ. ძალიან გთხოვთ ყველას, გადაუმოწმებელ ინფორმაციას ნუ გავავრცელებთ, რადგან ძალიან ადვილად შეიძლება ადამიანს ნაჩუქარი სიცოცხლე მოუსპო, – განაცხადა ნოზაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსის“ ეთერში.

მომღერალი ამბობს, რომ არ არის ისე განწყობილი, რომ თამთა ჯანჯღავა „მთელი სიმკაცრით, სამაგალითოდ დაისაჯოს“.

– მე არავის არც შეცოდებას და მსგავს რაღაცებს არ ვცდილობ. კაცი ვარ და შეიძლება დღეს ჯანმრთელი და საღსალამათი იყო, მაგრამ ხვალ ისეთი რაღაც მოგიხდეს, რომ აღარ იყო ჯანმრთელი. არც ისე ვარ განწყობილი, რომ მთელი სიმკაცრით, სამაგალითოდ დაისაჯოს ის, ასე არ არის, რა სისულელეა. ყველაზე რთულად გადასატანი ჩემთვის იყო ის ყველაფერი, რაც მოხდა, მაგრამ გაცილებით რთულად გადასატანი არის დღევანდელი და ხვალინდელი დღე. ისეთი აურზაური მოჰყვა და ისეთი შეთხზული და შეთითხნილი კუდები მოება ამ საქმეს, რომ გაცილებით უფრო მიჭირს დღეს, ვიდრე მიჭირდა მაშინ, როცა დამჭრეს, – განაცხადა ნოზაძემ.

ირაკლი ნოზაძის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ თამთა ჯანჯღავასა და დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებულ ნათია თოფურიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

კობა დავითაშვილმა სააკაშვილისა და მერაბიშვილის წინააღმდეგ პროკურატურას მიმართა

ყოფილმა დეპუტატმა კობა დავითაშვილმა მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ პროკურატურას მიმართა. ყოფილი დეპუტატი მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მუხლით საქმის აღძვრას ითხოვს.

როგორც დავითაშვილმა განაცხადა, რუსთავი 2-ის ეთერში ექსპრეზიდენტმა აღიარა, რომ ჩანაწერი ვანო მერაბიშვილთან ერთად მისი დაკვეთით მომზადდა, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის თანახმად კი, დეპუტატის ფარული მიყურადება აკრძალულია. მისი თქმით, ეს ფაქტი სრულყოფილად არ გამოიძიეს. დავითაშვილის განცხადებით, ყოფილი ხელისუფლების დაკვეთით მასზე სამჯერ მოხდა თავდასხმა, ერთხელ კი ადგილი ჰქონდა მკვლელობის მცდელობას. საუბარია 2006 წელს კობა დავითაშვილის წინააღმდეგ ფარულად მომზადებულ ჩანაწერზე.

– მოვითხოვე, მიხეილ სააკაშვილისა და მერაბიშვილის მიმართ გამოძიება დაიწყოს მათი მხრიდან ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, რაც პრაქტიკულად სააკაშვილმა აღიარა რუსთავი 2-ის ეთერში. სააკაშვილმა გაანდო საზოგადოებას, რომ ფარული ჩანაწერი, რომლის გაკეთებაც კანონით დეპუტატის მიმართ აკრძალული იყო, განხორციელდა მერაბიშვილის მიერ სააკაშვილთან შეთანხმებით. მან სააკაშვილს ახარა, რომ დავითაშვილს პოლიტიკურ გვამად აქცევდნენ. მადლობა მინდა გადავუხადო ნიკა გვარამიას. მან მრავალი წლის დაგვიანებით გაიხსენა, რომ ოდესღაც პროკურორის მოადგილე იყო და ეთერში დაჰკითხა მიხეილ სააკაშვილი.

ჩემ მიმართ იმდენი უბედურება მოხდა, ერთმანეთში ერევა ყველას. სამი თავდასხმა, ერთი მკვლელობის მცდელობა. ამაზე არ აღძრულა საქმე. მაშინ ეს ყველაფერი გაფორმდა, როგორც სუფრის წევრის პირადი მასალა, რომელმაც მიაწოდა მედიას ჩანაწერი. ეს ადამიანი ავარიაში გარდაიცვალა. მე ამ გარემოებების გამოძიებასაც მოვითხოვ. ვფიქრობ, მოწმე სააკაშვილის ხელისუფლებამ მოიშორა. გამოძიებას ვითხოვ იმ საქმეზე, რაც აქამდე არ ყოფილა. მაშინ მოქმედი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მიხედვით, არ შეიძლებოდა ჩანაწერის მომზადება. მათ კონფიდენტის მეშვეობით გაავრცელეს რუსთავი 2-ის ეთერში ჩემი პოლიტიკური მკვლელობის მიზნით. ეს უკანონო მიყურადება იყო, – განაცხადა კობა დავითაშვილმა.

რუსთავში მერსედესი ამობრუნდა

1 ადამიანი დაიღუპა

გუშინ, 3 ივლისს, რუსთავში ავტომაგისტრალზე „მერსედესის“ მარკის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა და ამობრუნდა. შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სახანძრო-სამშველო სამსახურის, სასწრაფო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები. მიმდებარე ტერიტორია გადაკეტილი იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

რუსი მფრინავის მკვლელობისთვის დაკავებულ თურქეთის მოქალაქეს საექსტრადიციო პატიმრობა აქვს შეფარდებული

საქართველოს მთავარი პროკურატურა რუსი სამხედრო მფრინავის მკვლელობაში ბრალდებულის სერქან კურტულუშის დაკავებასთან და თურქეთში ექსტრადირების საკითხთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ქურტულუში თურქეთის კომპეტენტური ორგანოების თხოვნის საფუძველზე დააკავეს და მას საექსტრადიციო პატიმრობა შეეფარდა. ამის შესახებ პროკურატურაში აცხადებენ.

პროკურატურის განცხადებით, 2018 წლის 29 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით სერქან კურტულუშის შეეფარდა 3-თვიანი საექსტრადიციო პატიმრობა.

„თურქული მხარის მიერ მოწოდებული მასალების თანახმად, ს.ქ. – ს ბრალად ედება უკანონო შემოსავლის მიღების მიზნით თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული კრიმინალური ორგანიზაციის შექმნა და ხელმძღვანელობა. მითითებული კრიმინალური ორგანიზაციის წევრების მიერ სისტემატურად ხორციელდებოდა შეირაღებული თავდასხმები სხვადასხვა პირებზე ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით (განხორციელდა 26 შეიარაღებული თავდასხმა), ხდებოდა მუქარით ფულის გამოძალვა, დაშინება, ადამიანების გატაცება, აგრეთვე მათი ორგანიზაციის წევრების ან ორგანიზაციასთან დაახლოებული პირების სასარგებლოდ შეიარაღებული თავდასხმის ორგანიზება და ფიზიკური ანგარიშსწორება“, – წერია პროკურატურის განცხადებაში.

სერქან კურტულუში 2018 წლის 27 ივნისს ქალაქ ბათუმში დააკავეს.

სერქან ქურტულუში იმ 18 ეჭვმიტანილს შორის იყო, რომლებსაც ბრალად ედებოდათ 2015 წლის ნოემბერში რუსი სამხედრო მფრინავის მკვლელობა.

2015 წლის 24 ნოემბერს თურქეთის საჰაერო ძალებმა რუსული ბომბდამშენი სუ-24 ჩამოაგდეს. თვითმფრინავს მართავდნენ ვიცეპოლკოვნიკი ოლეგ პეშკოვი და კაპიტანი კონსტანტინე მურახტინი. რუსმა მფრინავებმა კატაპულტირება მოახერხეს, თუმცა დაშვებისას მათ ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ოლეგ პეშკოვი დაიღუპა.

ავარიას აშშ-ის საელჩოსთან გენერალ ლევან გვაზავას ვაჟი, ლუკა, ემსხვერპლა

ბაიკერი 2 მანქანას შორის მოხვდა

თბილისში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ავარიისას ერთი ადამიანი დაიღუპა.



მოტოციკლი და ორი მსუბუქი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახნენ. შეჯახების შედეგად მოტოციკლის მძღოლი დაიღუპა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ს მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

მოგვიანებით ნიუპოსტისთვის ცნობილი გახდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევას 23 წლის ლუკა გვაზავა ემსხვერპლა. ახალგაზრდა ბაიკერი გენერალ ლევან გვაზავას ვაჟია.

თვითმხილველების ინფორმაციით, შემთხვევა გუშინ, 3 ივლისს, 12:00 საათზე მოხდა.

მათივე ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი მოტოციკლს მართავდა, როდესაც ის ორი ავტომობილის შეჯახებისას მსუბუქ ავტომობილებს შორის მოხვდა.

ლუკა გვაზავას მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

კალეიდოსკოპი

მარტორქა ერთი სანტიმეტრი რქისთვის მოკლეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ბრაკონიერებმა იშვიათი სახეობის მარტორქა ერთსანტიმეტრიანი რქისთვის მოკლეს.

ინციდენტი კრაგ კამას ნაკრძალში მოხდა. ბრაკონიერების მსხვერპლი ოცი წლის სამხრეთული თეთრი მდედრი მარტორქა გახდა, სახელად ბელა. ნაკრძალის თანამშრომლებმა რამდენიმე თვის წინ მას რქა მოაჭრეს, რათა ამით მისთვის ბრაკონიერების თავდასხმა აერიდებინათ, თუმცა ამან ცხოველი მაინც ვერ გადაარჩინა.

ბელას ოთხი ნაშიერი ჰყავდა. მათ შორის ყველაზე პატარა სახელად ტანკი, ეგერების თქმით, ნახევარი დღე დასტიროდა დაღუპულ დედას, ახლა კი ცდილობს სხვა მარტორქას მიეკედლოს, რომელსაც პატარა ჰყავს.

– დღემდე ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ შეიძლება ერთსანტიმეტრიანი რქისთვის მოკლა ამხელა ცხოველი, – განაცხადა ნაკრძალის მეპატრონემ აიეშა კენტორმა.

ძაღლმა პატრონი ჩხრიალა გველისგან იხსნა

ოქროსფერმა რეტივერმა სახელად ტოდმა თავისი პატრონი ჩხრიალა გველის თავდასხმისგან გადაარჩინა.

ინციდენტი ამერიკის არიზონას შტატის მარიკოპის ოლქში მოხდა. ძაღლის პატრონმა პაულა გოდვინმა განაცხადა, რომ ტოდისთან ერთად სასეირნოდ იყო გასული და კინაღამ ფეხი გველს დააბიჯა. ძაღლმა საფრთხე შენიშნა და ქვეწარმავალს ზევიდან დაახტა, ამით პატრონის ფეხი გველის კბენისგან გადაარჩინა.

გველმა ტოდს ცხვირზე უკბინა, რის გამოც ძაღლს პირისახე ძალიან გაუსივდა. გოდვინმა ტოდი ადგილობრივ ვეტერინარულ საავადმყოფოსი მიიყვანა, სადაც მას სათანადო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გერმანიის შს მინისტრმა და ანგელა მერკელმა შეთანხმებას მიაღწიეს

გერმანიის შს მინისტრმა ჰორსტ ზეეჰოფერმა და გერმანიის კაცლერმა ანგელა მერკელმა საიმიგრაციო საკითხზე შეთანხმებას მიაღწიეს. ამის შესახებ გერმანიის შს მინისტრმა ჰორსტ ზეეჰოფერმა განაცხადა.

– ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად „ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა“ და „ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირმა“ შეთანხმებას მიაღწიეს, მომავალში როგორ აიცილონ თავიდან არალეგალური მიგრაცია გერმანიისა და ავსტრიის საზღვარზე, – განაცხადა გერმანიის შს მინისტრმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ არ აპირებს თანამდებობის დატოვებას.

თავის მხრივ, ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ მხარეებმა კარგ კომპრომისს მიაღწიეს.

– გერმანიაში შეიქმნება სატრანზიტო ცენტრები დევნილებისთვის. შედეგად, ევროკავშირში პარტნიორობის სულისკვეთება შენარჩუნდა და ამავდროულად გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგა მეორადი მიგრაციის საკითხის დასარეგულირებლად, – განაცხადა გერმანიის კანცლერმა.

თუ მხარეები შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ, ზეეჰოფერი გადადგომას გეგმავდა.

მაიკ პომპეო კიმ ჩენ ინს შეხვდება

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო 5 ივლისს ვიზიტით ფხენიანში გაემგზავრება, სადაც ჩრდილოეთ კორეის ლიდერს კიმ ჩენ ინს შეხვდება.

ამის შესახებ თეთრი სახლის პრესმდივანმა სარა სანდერსმა განაცხადა.

სარა სანდერსმა ასევე თქვა, რომ მხარეებს შორის მიმდინარეობს მნიშვნელოვანი მუშაობა კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციის კუთხით.

– მოლაპარაკებები დენუკლეარიზაციასთან დაკავშირებით მიმდინარეობს. დეტალებზე არ ვისაუბრებ, თუმცა შემიძლია განვაცხადო, რომ პროგრესი არის, – აღნიშნა მან.

ინფორმაცია მაიკ პომპეოს ჩრდილოეთ კორეაში გამგზავრების თაობაზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტშიც დაადასტურეს. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჰიზერ ნაუერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტი 5 ივლისიდან 7 ივლისამდე გაგრძელდება.

ვიზიტის ფარგლებში გაგრძელდება კონსულტაციები კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციაზე, ასევე იმ პროგრესის განმტკიცება, რომელსაც მხარეებმა მიაღწიეს სინგაპურში გამართულ სამიტზე.

აშშ–ში ტერორისტი დააკავეს

გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა დემეტრიუს პიტსი დააკავეს. ის 4 ივლისს, აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს, ქალაქ კლივლენდში აფეთქებების მოწყობას აპირებდა.

პიტსი ტერორისტულ ორგანიზაცია „ალ ქაიდასთან“ იყო დაკავშირებული. აფეთქების მოწყობაც „ალ ქაიდამ“ დაავალა. ახლა ის გისოსებს მიღმა იმყოფება.

იაპონელებმა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის მოდერნიზება დაიწყეს

იაპონიამ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის მოდერნიზება დაიწყო. ეს საშუალებას მისცემს მას როგორც ჩრდილოეთ კორეისაგან, ასევე ჩინეთისგან უფრო დაცულად იგრძნოს თავი.

რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის მოდერნიზების მიზნით, იაპონიამ ამერიკული რადარები შეიძინა.

ევროკავშირი პოლონეთის წინააღმდეგ

3 ივლისიდან პოლონეთში ძალაში შედის კანონი სასამართლო რეფორმის შესახებ. ევროკავშირს ამ კანონთან დაკავშირებით უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნია. ბრიუსელში თვლიან, რომ ე.წ. „სასამართლო რეფორმა“ სინამდვილეში სასამართლოს დამოუკიდებლობის დასასრულს ნიშნავს.

ევროკავშირის ლიდერები აპირებენ, უჩივლონ პოლონეთს ევროსასამართლოში. ამის შემდეგ, შესაძლოა, სასამართლომ პოლონეთს ჯარიმა დააკისროს.

გერმანიაში ისლამისტი ტერორისტი დააკავეს

გერმანიაში პოლიციამ ვინმე ჯენიფერ ბ. დააკავა. ვარაუდობენ, რომ ის ისლამისტ ტერორისტებთან იყო დაკავშირებული.

თანახმად გერმანიის პოლიციის ცნობისა, ჯენიფერ ბ. იმყოფებოდა თურქეთში, საიდანაც გადავიდა სირიაში. იქ ისლამურ სახელმწიფოს დაუკავშირდა. ის მონაწილეობდა ჯიჰადისტების რეიდებში როგორც სირიის, ასევე ერაყის ტერიტორიაზე.

ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ რა დავალებით ჩავიდა ჯენიფერ ბ. გერმანიაში, აპირებდა იქ ტერაქტების მოწყობას თუ სხვა სახის დავალებები ჰქონდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკო-ბიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

კალათბურთი: საქართველო შემდეგ ეტაპზე გავიდა

საქართველო-ავსტრია 98:73
(26:18, 25:15, 25:19, 22:21)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 98:73 დაამარცხა ავსტრია და მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გავიდა. მართალია, ილიას ზუროსის გუნდმა ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა, თუმცა გათამაშების ფორმატის თანახმად, მომდევნო ეტაპზე ჯგუფიდან 3 საუკეთესო გადიოდა და ქართველებმა დასახულ მიზანს მიაღწიეს.

სერბეთთან დიდსხვაობიანი მარცხის შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა გუნდმა რეაბილიტირება მოახდინა და სპორტის სასახლეში მისული გულშემატკივარი გაახარა. მართალია, ავსტრია არ განეკუთვნება ისეთი სიძლიერის გუნდებს, როგორებიც სერბეთი და გერმანიაა, მაგრამ დასავლეთ ევროპელები თბილისში მოსაგებად და იმ შანსის გამოსაყენებლად ჩამოვიდნენ, რასაც სატურნირო ვითარება იძლეოდა. ავსტრიელებს გამარჯვება ხელს აძლევდა, თუმცა საქართველოს ნაკრებმა სტუმრებს პირველივე წუთებიდან აგრძნობინა, რომ წარმატების მიზერული შანსი ექნებოდათ.

საქართველოს ნაკრებმა შეკრულ-შეთამაშებულად ითამაშა. პირველ ნახევარში ჩვენი გუნდის მიერ მოგროვებული ქულების უმეტესობა თორნიკე შენგელიამ მიითვალა, რომელსაც დიდი შესვენებისთვის უკვე ორმაგი დუბლი ჰქონდა შესრულებული – 22 ქულა, 11 მოხსნა.

პირველი პერიოდის 26:18 მოგების შემდეგ ქართველებმა უფრო გააძლიერეს მეტოქეზე ზეწოლა და მე-15 წუთისთვის ზუროსის გუნდის ლიდერობამ 20 ქულას გადააჭარბა. მართალია, პირველი ნახევრის ბოლო წუთზე 24-ქულიანი ლიდერობა ავსტრიელებმა 18 ქულამდე შეამცირეს, თუმცა მატჩის ზოგად სცენარსა და მიმდინარეობაში არაფერი შეცვლილა.

მეორე ნახევარში ქართველებმა სრული დომინაცია დაამყარეს მატჩზე და ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს ქულების ხვეჭა გოგა ბითაძემ, დუდა სანაძემ, თად მაკფადენმა, გიორგი ცინცაძემ. საქართველოს ნაკრებმა დალაგებული და გააზრებული თამაშით იმდენად სოლიდური უპირატესობა მოიპოვა, რომ მისი გაბათილება, არაერთი წუთშესვენებისა და ტაქტიკის შეცვლის მიუხედავად, ავსტრიელებმა ვერ შეძლეს.

ბოლო პერიოდში საქართველოს ნაკრების უპირატესობამ 30 ქულას მიაღწია და შეხვედრამ აზრი დაკარგა. ილიას ზუროსმა ბოლო პერიოდში მოედანზე ყველა ის კალათბურთელი შეუშვა, რომელსაც მატჩში მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული. მაყურებელთა ოვაციები ჯერ მოედანზე გასვლისას და შემდეგ ლამაზი გარღვევით დაიმსახურა რატი ანდრონიკაშვილმა, რომელიც მატჩის ყველაზე ახალგაზრდა (17 წლის) მონაწილე გახლდათ.

საქართველოს ნაკრებში 24 ქულით, 12 მოხსნით, 6 პასითა და 3 ჩაჭრით საუკეთესო იყო თორნიკე შენგელია. 15 ქულა, 6 მოხსნა და 2 დაფარება დააგროვა გოგა ბითაძემ. 15 ქულა დაგროვდა დუდა სანაძის ანგარიშზეც, ხოლო თად მაკფადენმა და გიორგი ცინცაძემ 14-14 ქულა მიითვალეს. ჩვენმა ნაკრებმა პერიმეტრიდან მეტოქე გვარიანად დაჯაბნა – 29 ცდიდან 16 სამქულიანი ჩააგდო, ავსტრიელებმა კი 29 ცდიდან მხოლოდ 8 მიითვალეს.

საქართველოს ნაკრები ჯგუფის ლიდერებთან, გერმანია-სერბეთთან ერთად მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. ეს 3 ნაკრები მეორე ჯგუფში ერთად იქნება, მაგრამ ერთმანეთს არ შეხვდება და ის ქულები გადაჰყვებათ, რაც ამ ჯგუფში ერთმანეთთან დააგროვეს. ამ ნაკრებებს ჰ ჯგუფის 3 საუკეთესოსთან, საბერძნეთი, ისრაელი, ესტონეთი – მოუწევს მეორე ჯგუფურ ეტაპზე დაპირისპირება.

ევროპული ზონის მეორე საკვალიფიკაციო ჯგუფური ეტაპი მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყება და 2019 წლის თებერვლამდე გაგრძელდება. 4 6-გუნდიანი ჯგუფიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე 3-3 საუკეთესო – ჯამში 12 გუნდი გავა.

ჩვენს ჯგუფში სექტემბრის მატჩების დაწყებამდე ასეთი სატურნირო მდგომარეობაა:

საბერძნეთი და გერმანია 12-12 ქულა; სერბეთი – 10; ისრაელი – 9; საქართველო და ესტონეთი – 8-8.

ესეც კალენდარი:

13 სექტემბერი: საბერძნეთი-სერბეთი; ისრაელი-საქართველო; ესტონეთი-გერმანია;
16 სექტემბერი: გერმანია-ისრაელი; სერბეთი-ესტონეთი; საქართველო-საბერძნეთი;
30 ნოემბერი: საბერძნეთი-გერმანია; ისრაელი-სერბეთი; ესტონეთი-საქართველო;
3 დეკემბერი: გერმანია-ესტონეთი; სერბეთი-საბერძნეთი; საქართველო-ესტონეთი;
21 თებერვალი: საბერძნეთი-საქართველო; ისრაელი-გერმანია; ესტონეთი-სერბეთი;
24 თებერვალი: გერმანია-საბერძნეთი; სერბეთი-ისრაელი; საქართველო-ესტონეთი.

ბელგიელთა საოცარი ქამბექი

ბელგია-იაპონია 3:2
როსტოვი. როსტოვ არენა

0:1 ჰარაგუჩი (48), 0:2 ინუი (52), 1:2 ვერტონგენი (69), 2:2 ფელაინი (74), შადლი (90)

ბელგია: კურტუა, ალდერვეირელდი, კომპანი, ვერტონგენი, კარასკო (ჩადლი 65), ვიტსელი, დე ბრუინი, მუნიე, აზარი, ლუკაკუ, მერტენსი (ფელაინი 65)

იაპონია: კავაშიმა, ნაგატომო, შოჯი, იოშიდა, საკაი, ჰასებე, შიბასაკი (იამაგუჩი 81), ინუი, კაგავა, ჰარაგუჩი (ჰონდა 81), ოსაკო

ჩინებული სანახაობა გამოდგა როსტოვში. მთელი მატჩი 2 ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველ ტაიმში ბელგიას აშკარად არ უნდოდა გახსნილიყო და აგრესიულ ფეხბურთს მხოლოდ ალაგ-ალაგ აჩვენებდა, რასაც იაპონელები იოლად უმკლავდებოდნენ. თავად აზიელები, პარალელურად სწრაფი და ორგანიზებული კონტრშეტევებით პასუხობდნენ. ისე ჩანდა, რომ შეტევაში იაპონელებს უფრო მოსამატებელი ჰქონდათ, ვიდრე – ბელგიას.

ასეც მოხდა, მხოლოდ შესვენების შემდეგ: იაპონელებმა შეტევა უფრო დახვეწეს და საკუთარ თავში დარწმუნებულ ბელგიელებს ორჯერ გაუტანეს კონტრშეტევებზე. ჯერ ჰარაგუჩიმ გაიტანა, შემდეგ კი, სანამ ბელგია გონს მოეგებოდა, ინუიმ მეორეც გაიტანა. ბელგიას გოლებს შორის შეეძლო გათანაბრება, მაგრამ აზარის დარტყმული ბურთი ძელმა აისხლიტა.

მეორე გოლის შემდეგ კი დაიწყო ნამდვილი ფეხბურთი და ნათლად გამოჩნდა, თუ რატომ უყვარს ხალხს სპორტის ეს სახეობა. ბელგიამ სნობიზმი და ზედმეტი თვითრწმენა თავიდან ამოიგდო და დაიწყო...

კავაშიმა და მის წინ მდგარი ფეხბურთელები იგერიებდნენ ბელგიელთა შეტევებს და იმის ძალებიც ჰქონდათ, რომ სიმპათიურ კონტრშეტევებზეც გადასულიყვნენ, მაგრამ დიდ ზეწოლას ვერ გაუძლეს: ვერტონგენმა და ფელაინმა ანგარიში გაათანაბრეს, ხოლო მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში შადლიმ ბოლო მოუღო აზიელთა იმედებს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ტომა მუნიე**

2 გაშვებული გოლის მიუხედავად, საუკეთესო მცველი ბელგიელთა შემადგენლობაში. მთელი მატჩის განმავლობაში ყურადღების ცენტრში იყო. დაცვაშიც კარგად ირჯებოდა, შეტევაშიც ერთვებოდა, მწვავედაც აწვდიდა, პრესინგიც გამოდიოდა და იმის ძალაც ეყო, რომ ბოლო წამებზე საკუთარი ნახევრიდან ისეთი გაქცევა მოეწყო, რომ შადლისთვის საგოლე პასი მიეცა.

ზაზა ფაჩულია სპორტის რაინდი გახდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილ კაპიტანს და ნბა-ს ორგზის ჩემპიონს, ზაზა ფაჩულიას სპორტის რაინდის წოდება მიანიჭა.

პრემიერმა ზაზა ფაჩულიას საქართველოს ნაკრებში ჩატარებული ბრწყინვალე კარიერისთვის და საერთაშორისო სარბიელზე ქართული კალათბურთის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და სამომავლო საქმიანობაში წარმატება უსურვა. შეხვედრას კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, ფაჩულია პირველი ქართველი კალათბურთელია, რომელიც ნბა-ს ჩემპიონი გახდა. ეს 2017 წელს მოხდა, ხოლო წელს შედეგი გაიმეორა.

გოლდენ სტეიტმა კაზინსი დაიმატა

გოლდენ სტეიტ უორიორზმა მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარებული ცენტრი, დემარკუს კაზინსი დაიმატა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ძლიერი გუნდი დღეს ლიგაში აღარ არსებობს, რადგან ხუთივე პოზიციაზე რეიტინგით პირველი თუ არა, მეორე ან მესამე კალათბურთელი მაინც თამაშობს.

27 წლის დემარკუსი მომდევნო სეზონს ოკლენდელ „მეომართა“ შორის გაატარებს და ხელფასის სახით 5.3 მილიონ დოლარს მიიღებს.

კაზინსის გადაბირება ბოსტონ სელტიკსაც სურდა და როგორც ამბობენ, უფრო მაღალ ჯამაგირსაც ჰპირდებოდა. როგორც ირკვევა, კაზინსის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა გოლდენ სტეიტის ლიდერებმა სტეფ კარიმ, კევინ დურანტმა, დრეიმონდ გრინმა, აგრეთვე კლუბის პრეზიდენტმა ბობ მაიერსმა მოახდინეს.

ერთია, კაზინსი იანვრიდან მოყოლებული ვერ თამაშობს – აქილევსის ქუსლის მყესები გაიწყვიტა და ამჯერად სარეაბილიტაციო კურსს აგრძელებს.

ეროვნული ლიგა: მეორე წრის ბოლო ტური

ეროვნულ ლიგაში დღეს და ხვალ გაიმართება მე-2 წრის ბოლო ტურის მატჩები და შემდეგ ერთთვიანი პაუზა გამოცხადდება.

4 ივლისი
სამტრედია-საბურთალო
18:00 ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე

სამტრედია რომ ბოლო ადგილით დაასრულებს მე-2 წრეს, ცნობილია. ერთადერთი ის დარჩა გასარკვევი, აიღებენ თუ არა 3 ქულას – იმერელთა მოუგებელი სერია 16 ტურია გრძელდება.

სამტრედია ახალი მწვრთნელით დაუხვდება საბურთალოს. უფრო სწორად, ძველი ახალი მწვრთნელით. კლუბის ხელმძღვანელობამ, მათთვის კარგად ნაცნობი გია ცეცაძე ახალგაზრდული ნაკრებიდან „ინათხოვრა“.

ისიც ცნობილია, რომ მე-2 წრეს პირველი ადგილით დაასრულებს საბურთალო. გია ჭიაბრიშვილის გუნდი ეცდება, რაც შეიძლება მეტი ჰანდიკაპით გავიდეს ანტრაქტზე. საამისოდ, საკუთარი 3 ქულა და დინამოს დილასთან წაფორხილებაა საჭირო.

ტორპედო-კოლხეთი
19:30 ქუთაისი. რამაზ შენგელია

ტორპედომ ბოლო ტურში ხასიათი გამოიკეთა და მედლებისთვის ბრძოლაში დარჩა. ამასთან, რიონისპირული კლუბი ძლიერდება და მეტი შანსი აქვს, ეს ბრძოლა კიდევ უფრო დაძაბოს. წინა ტურში ახალწვეულებს არ უთამაშიათ. ვნახოთ, მიეცემათ თუ არა, ამჯერად შანსი, რადგან კოლხეთთან თამაში ბოლო რეპეტიციაა ევროტურნირების წინ.

მატჩში კი, ფავორიტი ტორპედოა და 3 ქულის აღებას შეეცდება.

5 ივლისი
ლოკომოტივი-რუსთავი
18:00 თბილისი. მიხეილ მესხი 2

ორივე გუნდმა სეზონი სხვადასხვა პოზიციებით დაიწყო – ლოკომოტივი ცხრილის ბოლოში იყო, რუსთავი – მაღლა. ახლა შუაში მეზობლად არიან. მეტიც, ლოკომოტივმა თუ მოიგო, ქვემოქართლელებს სულაც თავზე მოექცევა.

ცხადია, ეს რუსთაველთა გეგმებში არ შედის და მიხეილ მესხზე მეტოქეს ბრძოლას გაუმართავენ. რა მოხდება, ამას უშუალოდ მოედანზე ვიხილავთ.

ჩიხურა-სიონი
18:00 ივანწმინდა. ცენტრალური

ფავორიტი ჩიხურაა. ერთია, გაუფრთხილდება თუ არა სოსო ფრუიძე ფეხბურთელებს ევროტურნირების დროს. საჩხერლებს ისედაც მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვთ და ახლა მათთვის, ყველა ფეხბურთელის ჯანმრთელობა მნიშვნელოვანია.

სიონი კი აგრძელებს ბრძოლას არსებობისთვის და ბოლნისელთათვის ყველა ქულა მნიშვნელოვანია. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი ეცდება ზემო იმერეთიდან მარაგით დაბრუნდეს.

დინამო-დილა
21:00 თბილისი. დინამო არენა

ტურის ცენტრალური მატჩი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, ვინ დაასრულებს ჩემპიონატის ეკვატორს მეორე ადგილით.

დინამოს მასპინძლის სტატუსით ფავორიტია, მაგრამ მეტოქედ ჩინებულად მოთამაშე დილა ჰყავს, რომელმაც კარგად იცის შეტევა. ერთია, დაცვაში ხარვეზები აქვთ, ისევე, როგორც დინამოს.

მოკლედ, მოედანზე ორ შემტევ გუნდს ვიხილავთ. მოიგებს ის, ვინც უკეთ დაიცავს თავს.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	17	13	1	3	32-13	40
2.დინამო	17	11	2	4	33-17	35
3.დილა	17	9	7	1	36-19	34
4.ჩიხურა	17	8	4	5	24-16	28
5.ტორპედო	17	7	3	7	23-18	24
6.რუსთავი	17	5	5	7	17-22	20
7.ლოკომოტივი	17	5	3	9	19-29	18
8.კოლხეთი	17	3	5	9	19-40	14
9.სიონი	17	3	4	10	15-29	13
10.სამტრედია	17	1	6	10	10-25	9

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სპორტი

ფეხბურთის ფედერაციამ სამტრედიას მწვრთნელი ათხოვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა საფეხბურთო კლუბ სამტრედიას თხოვნა, რის შედეგადაც, გია ცეცაძე 2018 წლის ევროპა ლიგისთვის იმერული კლუბის მთავარი მწვრთნელის პოზიციაზე იმუშავებს.

კლუბს, მწვრთნელსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის შეთანხმების საფუძველზე, გია ცეცაძე სამტრედიაში სანაკრებო პაუზისას იმუშავებს, ხოლო 21-წლამდე ნაკრებს მომდევნო შეკრებისთანავე დაუბრუნდება.

ალექსანდრე იაშვილი, სფფ-ის ვიცეპრეზიდენტი:

– საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თხოვნით მიმართა საფეხბურთო კლუბმა სამტრედიამ, რათა ევროპა ლიგისთვის კლუბში გია ცეცაძეს დროებით ემუშავა, რომელიც, მოგეხსენებათ, 21-წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელია. მწვრთნელთან მოლაპარაკებების შედეგად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დროებით, ახალგაზრდულის შეკრებამდე, გიას ემუშავა სამტრედიას მთავარი მწვრთნელის პოზიციაზე, რადგან კლუბის ხელმძღვანელობის აზრით, მათთვის ეს იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირის მოსამზადებელ ეტაპზე. ჩვენი მხრივ, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ყველა კლუბს მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ, რადგან მათი წინსვლა მთლიანად ქართული ფეხბურთის წარმატებაა.

შეგახსენებთ, რომ სამტრედიელები ევროპა ლიგის პლეი-ოფში ყაზახურ ტობოლს დაუპირისპირდებიან, სადაც საქართველოს ნაკრების წევრები – ნიკა კვეკვესკირი და ჯაბა კანკავა თამაშობენ. პირველი მატჩი 10 ივლისს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

წინასწარმეტყველი რვაფეხა შეჭამეს

იაპონელმა მოკლა რვაფეხა-ორაკული, რომელმაც ზუსტად გამოიცნო ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონიის ნაკრების თამაშების შედეგები.

გიგანტურმა რვაფეხამ სახელად რაბიომ იაპონიაში სახელი თავისი წინასწარმეტყველებებით გაითქვა. ქვეყნის ნაკრების მონაწილეობით გასამართი მატჩების წინ მას პატარა მრგვალ აუზში სვამდნენ, რომელზეც დამაგრებული იყო იაპონიის და მისი მეტოქე ნაკრების დროშა, ასევე სპეციალური ნიშანი, რომელიც ფრეს აღნიშნავდა. ამის შემდეგ უყურებდნენ, თუ რომელ მხარეს გაცურდებოდა. რაბიო ერთხელაც არ შემცდარა: მან იწინასწარმეტყველა იაპონიის გამარჯვება კოლუმბიასთან მატჩში, ფრე სენეგალთან შეხვედრაში და დამარცხება პოლონელებთან.

მეთევზე კისუო აბემ, რომელმაც რაბიო კუნძულ ჰოკაიდოს სანაპიროსთან დაიჭირა, გადაწყვიტა მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებას არ დალოდებოდა. რვაფეხას მესამე წინასწარმეტყველების შემდეგ მან მოლუსკი დაკლა, დაანაწევრა და თევზის ბაზრობაზე სხვა ზღვის პროდუქტებთან ერთად გაყიდა.

აღსანიშნავია, რომ იაპონიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინაში გასვლა მოახერხა, თუმცა რაბიოს დაკვლის შემდეგ გამართულ ფლეიოფის მატჩში ბელგიის ნაკრებთან დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა.

ამერიკელის „ფეხმძიმობა“ 20-კილოგრამიანი კისტა აღმოჩნდა

ამერიკის ალაბამას შტატის მცხოვრებ ქალბატონს საკვერცხის უზარმაზარი კისტა ამოაჭრეს.

30 წლის კაილა რანი თითქმის ერთი წელი უჩიოდა ზედმეტ წონას და ტკივილებს. ექიმები, რომელთაც ის მიმართავდა, გახდომას ურჩევდნენ. ქალი ცდილობდა მათი რჩევა გაეთვალისწინებინა, მაგრამ არაფერი შველოდა.

– ისე გამოვიყურებოდი, თითქოს ფეხმძიმობის მეცხრე თვეში ვიყავი, – განაცხადა რანმა. მისი თქმით, ერთხელ ერთმა ისიც კი უთხრა, რომ ტყუპებს გააჩენდა.

მისი პრობლემების ჭეშმარიტი მიზეზი ანალიზების აღების შემდეგ გაირკვა, რომელიც მან მაისში გაიკეთა. რანს მუცინოზური ცისტადენომა – საკვერცხის კეთილთვისებიანი სიმსივნე აღმოუჩინეს. ქალს ოპერაცია გაუკეთეს და ამოაჭრეს კისტა, რომლის წონა 20 კილოგრამს აღემატებოდა.

ძიძამ, რომელიც თავს ფეხმძიმედ ასაღებდა, ბავშვი მოიტაცა

ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდის სასამართლომ 21 წლის ნადინ მანუკაუ-ტოიავალუს ბავშვის მოტაცებისთვის განაჩენი გამოუტანა.

ახალგაზრდა ქალი ძიძად მუშაობდა გარეუბან ეპსომში და საღამოობით ბავშვს უვლიდა. პარალელურად მან მთელი გეგმა შეიმუშავა, რათა ოჯახი, მეგობრები და ნათესავები დაერწმუნებინა საკუთარ ფეხმძიმობაში. ძიძა დიდი ხნის მანძილზე ატარებდა ყალბ მუცელს და წვეულებაც კი მოაწყო მომავალი ბავშვის პატივსაცემად, რომელიც ამერიკულ კულტურაშია მიღებული და „ბეიბი შაუერი“ ჰქვია.

ძიძად მუშაობის ერთ ღამეს, ნადინი დაელოდა, ვიდრე ბავშვის მამა დაიძინებდა, რის შემდეგაც მისმა ბიძაშვილმა ტაულაპაპამ, რომელიც იქვე ახლოს იმალებოდა, დისტანციურად მართვითი კარის საკეტი გატეხა, სახლში მეორე შესასვლელიდან შევიდა და ბავშვი და ძვირფასეულობით სავსე ჩანთა გამოიტანა. წყვილი შეეცადა, ამით ძარცვის იმიტირება მოეხდინათ.

ოკლენდის სასამართლომ გოგონა დამნაშავედ ცნო ბავშვის გატაცებაში, ქურდობასა და ასევე თავისი ყოფილი მეგობარი მამაკაცის ინტიმური ურთიერთობის ჩანაწერების გამოქვეყნებაში. სასამართლომ მას სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა. ტაულაპაპამ პატიმრობისთვის თავის არიდება მოახერხა, მაგრამ ის ვალდებულია ორი ათასი დოლარის კომპენსაცია გადაიხადოს და 400 საათი საზოგადოებრივ სამუშაოები შეასრულოს.

ტურისტი გოგონა ზვიგენმა კინაღამ ხელის გარეშე დატოვა

ავსტრალიაში ქალი შეეცადა ზვიგენისთვის საკვები მიეცა და კინაღამ ხელის გარეშე დარჩა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გამოაქვეყნა.

დაშავებულმა მელისა ბრანინგმა განაცხადა, რომ კიბერლიში იახტაზე იმყოფებოდა და სურდა იქვე შორიახლოს მოცურავე ზვიგენებისთვის საკვები მიეცა. ერთ-ერთმა მტაცებელმა თევზთან ერთად პირი მის თითებსაც ჩაავლო.

– მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ თითი დავკარგე. ვგრძნობდი, თუ როგორ მცილდებოდა ხორცი ძვლებიდან, – განაცხადა მელისამ.

ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა მას მყესების დაზიანება და ძვლების გაბზარვა დაუდგინეს.

ციხის ზედამხედველი პორნოვარსკვლავი გახდა

ავსტრალიელმა იზაბელა დალტორმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ ამჯობინა ციხეში ზედამხედველად მუშაობას პორნოვარსკვლავის კარიერა.

გოგონას განმარტებით, ციხეში მუშაობის დროს ის პატიმრების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობდა.

– საკუთარ საქმეს კარგად ვასრულებდი, მაგრამ მუდმივად მიწევდა ბრძოლა იმისთვის, რათა კარიერული წინსვლისთვის მიმეღწია და ბოლოს მივხვდი, რომ სერიოზულ წარმატებას ვერ მივაღწევდი, – აღიარა იზაბელმა.

დელტორმა განმარტა, რომ რაღაც მომენტში მან უსიამოვნება იგრძნო იმის გამო, რომ მისივე სექსუალურობა მუშაობაში ხელს უშლიდა და მიხვდა, რომ მისი წყალობით ფულის გამომუშავებას შეძლებდა.

ის ფარულად დაკავდა სტრიპტიზით და მიხვდა, რომ მას ეს პროფესია ძალიან მოსწონდა. ერთ-ერთ ცნობილ სტრიპტიზ კლუბში მიწვევის შემდეგ მან საბოლოოდ დაანება თავი ციხის ზედამხედველად მუშაობას და ერთ ღამეში იმდენი გამოიმუშავა, რამდენსაც ციხეში ორ კვირაში იღებდა.

ამჟამად იზაბელა დალტონი მოდელად მუშაობს და ასევე ეროტიკულ ფოტოსესიებში იღებს მონაწილეობას. თავად გოგონა განმარტავს, რომ პორნოში იღებენ, თუმცა ტექნიკურად ამას ეროტიკას ეძახის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი
4 ივლისისთვის

ვერძი – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **ჯარო** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ. **ტყუპები** – ადამიანები გენდობიან. ეცადეთ, მათ იმედი არ გაუცრუოთ. უცნობებს თქვენს საქმეებში ნუ გარევთ. **კირჩხიბი** – პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისათვის მზად იყავით. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ლომი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **ქალწული** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **სასწორი** – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. დღეს დაისვენეთ ან საოჯახო საქმეებს მიხედეთ. **ღრიანკალი** – ფინანსური მდგომარეობა ნელა, მაგრამ საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. საქმიან პარტნიორებთან მოსალაპარაკებლად საუკეთესო დღეა. **მშვილდოსანი** – ბედი შანსს გაძლევთ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. საღამოს ერიდეთ სხვის საქმეებში ჩარევას. **თხის რქა** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა. ნეგატიური აზრები უკუაგდეთ და მხოლოდ პოზიტიურზე იფიქრეთ. **თევზები** – ახლობელ ადამიანთან პრეტენზიების გამოხატვას ერიდეთ, თორემ სკანდალს ვერ ასცდებით. უმჯობესია, ეს დღე მარტომ გაატაროთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ხახვით, ძმრითა და პილპილით შეზავებული სამწვადე ხორცი; 2. ფირმა „ნაიკის“ დამფუძნებელი; 3. თამბაქოს მწარმოებელი კუბური ფირმა; 4. ყვავისებრთა ოჯახის მტაცებელი ფრინველი; 7. სირიის პრეზიდენტი; 9. დროებით, პერიოდულად შრობად მდინარეთა სახელწოდება ავსტრალიაში; 12. შაქრით შეზავებული ცხელი წითელი ღვინო; 14. საკათედრო ტაძარი თბილისში; 15. ძილის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 17. მონასტერი ჯავახეთში; 20. ყავის მოსადუღებელი სახელურიანი ჭურჭელი.

თარაზულად: 5. ნავთობის უდიდესი საბადო ყაზახეთში; 6. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 8. რიგითი მეზღვაური; 10. ვარდისფერყურძნოვანი ქართული ვაზის ჯიში; 11. საფრანგეთში წარმოშობილი არქიტექტურულ-დეკორატიული სტილი; 13. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 16. ფრანგული სამხედრო-სადესანტო, ვერტმფრენმზიდი გემების სერია; 18. სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი სამხედრო შეთქმულთა ჯგუფი; 19. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 21. სტადიონი ლონდონში; 22. თბილისელი სახალხო მკურნალი, დასტაქარი; 23. ფრანგი მოდელიორი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბარითმია; 2. „დიორი“; 3. არველაძე. 4. პოშეტი; 7. უნაბი; 9. „დირსი“; 12. სტრასბურგი; 14. ანიელი; 15. თუშმალი; 17. ბურვილი; 20. ჯილდა.

თარაზულად: 5. ბაჰრეინი; 6. ოტრანტო; 8. ფარვანა; 10. ქობულაძე; 11. დიქცია; 13. ფრეგატი; 16. ჰიდრანტი; 18. ფუქსი; 19. ფშავი; 21. ნიბლია; 22. ალავერდი; 23. ენოლოგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პლებისციტი; 2. ჩაჟაში; 3. სუპორტი; 4. რუმბი; 5. „კონსუელო“; 6. ებანი; 7. ბენუარი; 9. ბორნეო; 13. დიდრო; 17. „ქისი“; 18. მზე.

თარაზულად: 1. პასტიჩო; 3. „სოკარი“; 8. კომბლე; 10. წალკოტი; 11. კიური; 12. მინკუსი; 14. „აცტეკა“; 15. ყვირილა; 16. ლექსი; 19. ბერდია; 20. კირთაძე; 21. საცივი.

ნუკი კოშკელიშვილმა შვილი გამოაჩინა

მოდელი და მსახიობი ნუკი კოშკელიშვილი რამდენიმე დღის წინ დედა გახდა. მას და მის მეუღლეს ბენ ხაიმს ბიჭი ეყოლათ, რომელსაც ოლივერ ნიკოლასი დაარქვეს.

უამრავი მილოცვის და საუკეთესო სურვილების მიღების შემდეგ ახალბედა მშობლებმა გადაწყვიტეს, თავისი პატარა ფართო საზოგადოებისთვის წარედგინათ:

– ოლივერ ნიკოლას ხაიმი, – ასე დაასათაურა ფოტო ნუკი კოშკელიშვილმა, რომელიც სოციალურ ქსელში გაავრცელა.

„იქს ფაქტორი“ მარიამ შენგელიამ და ლიკუნა თუთისანმა დატოვეს

მუსიკალური შოუ „იქს ფაქტორის“ მეორე საკონკურსო ტური ორმა კონკურსანტმა დატოვა. მაყურებლის და მენტორების გადაწყვეტილებით, აუთსაიდერები ლიკუნა თუთისანი, თამთა ხუხუნაიშვილი და მარიამ შენგელია გახდნენ, საბოლოოდ კი პროექტში თამთა ხუხუნაიშვილი დარჩა, ლიკუნა და მარიამი კი გამარჯვებისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ.

მეოთხე საკონკურსო ტურში 71.685 ხმა შევიდა, მაყურებლის გადაწყვეტილებით, ყველაზე მეტი ხმა მიიღო და ლიდერი 22,65%-ით გახდა გორის გოგონათა გუნდი.

მსახიობი ნინიკო ჩხეიძე 99 წლის ასაკში გარდაიცვალა

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ნინიკო ჩხეიძე 99 წლის ასაკში გარდაიცვალა. უშანგი ჩხეიძის და ოთხი ათეული წლის განმავლობაში მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მოღვაწეობდა.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ისწავლა, ქალბატონმა ნინიკომ ქართულ თეატრსა და კინოში დაუვიწყარი სახასიათო როლები შექმნა. მაყურებელს იგი განსაკუთრებულად დაამახსოვრდა სპექტაკლში „ეზოში ავი ძაღლია“ და გოდერძი ჩოხელის ფილმიდან „ადამიანთა სევდა“.

კარიერის განმავლობაში მსახიობმა 150-მდე სხვადასხვა ხასიათის როლი განასახიერა. თეატრმცოდნეების განცხადებით, მისი შემოქმედება გამოირჩევა პროფესიონალიზმით, სცენური სიმართლით და იმპროვიზაციის ნიჭით.

მსახიობობასთან ერთად ნინიკო ჩხეიძემ წიგნის დაწერაც გადაწყვიტა და თავის ძმას უშანგი ჩხეიძეს მონოგრაფიული წიგნი „უშანგი“ მიუძღვნა.

ინფორმაცია მსახიობის გარდაცვალების შესახებ თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძემ გაავრცელა:

– როგორ მინდოდა, რომ 100 წლის გამხდარიყო. 99 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩემი დიდი მეგობარი და გულშემატკივარი ნინიკო ჩხეიძე. საქართველოს სახალხო არტისტი. დიდი უშანგი ჩხეიძის და. ყველაზე თბილი და ტკბილი ნინიკო!

პროფესორმა გოგა ჩართოლანმა უშანგი ჩხეიძის მთაწმინდაზე გადასვენების ამბავი გაიხსენა:

– ძალიან გულდასაწყვეტია. გამახსენდა ის დილა, როდესაც უშანგის 100 წლის თავზე ფილმს ვამზადებდი და დილის 5 საათზე მივედით დიდუბის პანთეონში. უშანგი უნდა გადაგვესვენებინა მთაწმინდაზე. ნინიკო და მაია ტატიშვილი იყვნენ. მე და ოპერატორი ლევან აბულაძე ვიღებდით ამ უნიკალურ კადრებს. საოცრება გააკეთა ნინიკომ. როდესაც გაითხარა საფლავი, დაწვდა უშანგის ძვლებს და კოცნა დაუწყო. ვერ შეაჩერეს იქ მყოფმა სპეციალისტებმა, რომლებიც აფრთხილებდნენ ნინიკოს, ყოვლად დაუშვებელია ამის გაკეთება, აუარებელი ბაქტერიაა. მაგრამ ნინიკო კოცნიდა ძმის ძვლებს, ტიროდა და ამბობდა: ჩემი ძმის ძვლები არას მავნებსო. ეს უნიკალური კადრები გადაღებული მაქვს. ფილმში, ბუნებრივია, ეს კადრები არ მოხვდა, მაგრამ არქივს და ისტორიას დარჩა. ახლა უშანგის ყოფილ საფლავში დაიმკვიდრებს სამუდამო სასუფეველს.

ელტონ ჯონმა 2018 წელს ევროპის მასშტაბით კონცერტები მხოლოდ საქართველოში გამართა

მსოფლიო ვარსკვლავი ელტონ ჯონი საქართველოში ჩამოვიდა და ორი დღის განმავლობაში დაუვიწყარი დღესასწაული მოუწყო თავის ერთგულ მსმენელს.

2018 წელს ელტონ ჯონი ევროპის ფარგლებში საკონცერტო პროგრამით მხოლოდ საქართველოში ჩამოვიდა.

თითქმის ორსაათიან კონცერტზე მომღერალმა ახალ სიმღერებთან ერთად ცნობილი ჰიტებიც შეასრულა.

როგორც მსოფლიოს სხვა ვარსკვლავებმა, ასევე ელტონ ჯონმაც ორგანიზატორებს თავის მოთხოვნები წაუყენა. მან კულისებში პირადი ოთახის გარდა, მოითხოვა ერთი ოთახი გარდერობისთვის, პალმები კულისებში და საქართველოში დაბეჭდილი უცხოური პრესა.

სპეციალურად ელტონ ჯონის კონცერტზე დასწრების მსურველთათვის დამატებით დაინიშნა მატარებლების და თვითმფრინავების რეისები.

საქართველოს ავიახაზების წარმომადგენელმა ბექა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ სპეციალური რეისის დანიშვნამ საზოგადოების ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია და კომპანიის მისამართით გინებებიც გაისმა:

– რეისი დავნიშნეთ სპეციალური თბილისი-ბათუმი-თბილისი ელტონ ჯონის კონცერტის პონტში და მთელი დღე ვიღაცები გვაგინებდნენ, ამ პიდარასტის გამო რეისი როგორ დანიშნეთო, აი მაგრად გვენ.რის მანდ ერს სრულიად, როდის გვეშველება ნეტა.

გაიოზ კანდელაკი დააჯილდოვეს

თბილისის ბიგ ბენდის დამაარსებელი გაიოზ კანდელაკი დააჯილდოვეს. იუბილესთან დაკავშირებით, თბილისის მერიის ბიგ ბენდს დედაქალაქის მერი კახა კალაძე ესტუმრა და მის ხელმძღვანელს კულტურის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სიგელი გადასცა.

კახა კალაძე:

– წარმატებებს ვუსურვებ ამ უნიჭიერეს ადამიანებს. ორკესტრის ხელმძღვანელს, ბატონ გაიოზს კულტურის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სიგელი გადავეცით. ისინი გაცილებით მეტს იმსახურებენ იმ ყველაფრისთვის, რასაც ხელოვნებისთვის აკეთებენ. მათ თბილისის მერიის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა და ხელშეწყობა ექნებათ. ამ ძვირფასი ადამიანების კონცერტი იმართება ყველგან და ნებისმიერ მსურველს მათზე დასწრება შეუძლია.

„ბიგ ბენდისა“ და ანსამბლ „ქართული ხმების“ ერთობლივი ტურნე პროექტ „ჩექ ინ ჯორჯიას“ ფარგლებში ახალციხეში დაიწყო და საქართველოს სხვა ქალაქებში გაგრძელდება. კონცერტი აერთიანებს ქართული ფოლკლორის, ქალაქური სიმღერების, ქართული საესტრადო და მსოფლიო ჰიტების საუკეთესო ნიმუშებს. პროექტი მოიცავს კონცერტებისა და ღონისძიებების სერიას, რომლის ძირითადი ამოცანა რეგიონების გამოცოცხლება და საქართველოს ცნობადობის გაზრდაა.

რუსთაველის თეატრში ესმა ონიანის საიუბილეო საღამო გაიმართა

ცნობილი მხატვრისა და პოეტის ესმა ონიანის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, რუსთაველის თეატრში საიუბილეო საღამო გაიმართა.

ესმა ონიანის შემოქმედებას ათასობით გულშემატკივარი ჰყავს. მისი კარიერული წარმატება ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიაში სწავლისას სადიპლომო ნამუშევრის „უფროსკლასელების“ შექმნის დროს დაიწყო, როდესაც მხატვარმა მიიღო უმაღლესი შეფასება და გამოფენილი იყო მოსკოვში სამხატვრო სასწავლებლების დიპლომატთა X საკავშირო გამოფენაზე.

ესმა ონიანი მონაწილეობდა საკავშირო, ამიერკავკასიის მხატვართა, რესპუბლიკურ და საშემოდგომო და საგაზაფხულო გამოფენებში. მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში დამდგმელ მხატვრად. შექმნა ილუსტრაციები ერლომ ახვლედიანის საბავშვო წიგნისთვის „ზარმაცი თაგუნას ამბავი“. იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის პედაგოგი. მიიღო მხატვართა კავშირის მედალი წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის „დავით კაკაბაძის პორტრეტი“. იაპონიაში ჩატარებულ გამოფენაზე მისი ნამუშევარი დაჯილდოვდა მედლით. მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

მხატვარი და პოეტი ესმა ონიანი 61 წლის ასაკში ყველასათვის მოულოდნელად გარდაიცვალა.

რუსთაველის თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე ესმა ონიანის პოეზიის მიხედვით რეჟისორმა ნიკოლოზ ჰაინე-შველიძემ იმპროვიზებული წარმოდგენა დადგა, რომელშიც მონაწილეობდნენ მსახიობები და მუსიკოსები მარინე ჯანაშია, რუსუდან ბოლქვაძე, ნინო კასრაძე, ბუბა ჭოღოშვილი, დათუნა ალადაშვილი და მარიამ ობოლაშვილი.

თამარა მუქერია: „რადიო „მუზა“ პოლიტიკოსების ცარიელ ამბიციებს შეეწირა“

რადიო „მუზა“, რომელიც კლასიკურ მუსიკას უწევდა საქართველოში პოპულარიზაციას, რამდენიმე წლის წინ დაიხურა. მისი თანამშრომლების მრავალმხრივი მცდელობის მიუხედავად, რადიოს გადარჩენა ვერ მოხერხდა.

„მუზას“ ერთ-ერთი თანამშრომელი თამარა მუქერია აცხადებს, რომ რადიო პოლიტიკოსების ცარიელ ამბიციებს შეეწირა, რადგან მისი დამაარსებელი მიხეილ სააკაშვილის მეუღლე, სანდრა რულოვსი იყო:

– რადიო „მუზა“ პოლიტიკოსების ცარიელ ამბიციებს შეეწირა. არც ერთმა მხარემ არ ისურვა მისი გადარჩენა, იმიტომ, რომ უფრო მნიშვნელოვანი თვითონ ქვეყანა კი არა, უაზრო პიროვნული კომპლექსები აღმოჩნდა.

ბიზნესიც ხომ უსუსურია ამ ქვეყანაში. უსუსური, უვიცი და უგემოვნო.

ძალიან ძნელია აბსოლუტურად ნულიდან დაიწყო ის საქმე, რომელშიც გამოცდილება მანამდე არ გქონია. ჰოდა, 2007 წელს ჩვენ ზუსტად ასე დავიწყეთ რადიოს შექმნა, ამიტომაც იყო შეცდომებიც, ხარვეზებიც, მაგრამ დროთა განმავლობაში იმდენს მივაღწიეთ, რომ ევროკავშირის სამაუწყებლო გაერთიანების ასისტენტ წევრები გავხდით, ესეც იმიტომ, რომ თვითონ ქვეყანა არ არის ევროგაერთიანების სრულუფლებიანი წევრი.

მოკლედ, მუზა დღეს 11 წლის გახდებოდა და დღესაც ისევე განვიცდი მის დახურვას, როგორც პირველივე დღეებში. იმედი მაქვს, მოვა დრო და ახლიდან შეიქმნება კლასიკური მუსიკის რადიო, ამჯერად კი ჩემს მუზელებს ვეტყვი, რომ ძალიან მიყვარხართ. ვისურვებდი კიდევ შევხვედროდით ერთმანეთს და ეს საქმე ერთად გვეკეთებინოს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯალეიდოსკოპი

ამერიკელმა ქალმა წვერი მოუშვა და თავს ბედნიერად გრძნობს

დაცინვებისგან დაღლილმა ქალმა „ხიპსტერული“ წვერი მოუშვა და აღიარა, რომ თავი ბედნიერად იგრძნო.

ამერიკის ვირჯინიის შტატის მცხოვრები ნოვა გალაქსია პოლიკისტური საკვერცხეების სინდრომითაა დაავადებული, რის გამოც მის სისხლში მეტისმეტად მაღალია მამაკაცური ჰორმონების შემცველობა და რაც სახეზე წვერის ზრდას იწვევს. 26 წლის გოგონა ათი წლის მანძილზე იპარსავდა, ცდილობდა თმები დაეფარა ნიკაპზე მკერდსა და ზურგზე და ამის გამო ძალიან ნერვიულობდა. მას სკოლაში აღიზიანებდნენ, დასცინოდნენ, ის კი არ ამხელდა მისთვის დასმულ დიაგნოზს.

საკუთარი თავის რწმენაში გალაქსიას ცნობილი ბრიტანელი წვერებიანი მოდელი ჰარნაამ კაური დაეხმარა, ასევე მისი მეგობარი, მოდელი ეშ ბირდი.

– თავიდან საშინელება იყო, მაგრამ, შემდეგ საკუთარი წვერი შემიყვარდა. მე მას შამპუნით ვიბან, შემდეგ კი ვივარცხნი, რათა იდეალურად გამოიყურებოდეს, – განაცხადა გალაქსიამ.

მიუხედავად ქუჩაში გამვლელების დაცინვისა, გოგონა საკუთარ გადაწყვეტილებას არ ნანობს, ვინაიდან, მისი მტკიცებით, ის ასე თავს უფრო ბედნიერად გრძნობს.

ავარიის მსხვერპლს პროზექტურაში გამოეღვიძა

ავარიის შემდეგ პროზექტურაში გადაყვანილი და მაცივარში მოთავსებული აფრიკელი ქალბატონი რამდენიმე საათის შემდეგ „გაცოცხლდა“.

ინციდენტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ იოჰანესბურგში მოხდა. ქალაქის მახლობლად სერიოზული ავარია მოხდა, რომელშიც, როგორც თავდაპირველად იქნა მიჩნეული, სამი ადამიანი დაიღუპა. სასწრაფო დახმარების ექიმებმა ქალი, რომელსაც თავის სერიოზული დაზიანებები ჰქონდა მიღებული, გარდაცვლილად ჩათვალეს და პროზექტურაში გადააგზავნეს.

რამდენიმე საათის შემდეგ, პროზექტურის თანამშრომლებმა, რომლებსაც ცხედრის მონაცემები ჟურნალში შეჰქონდათ, აღმოაჩინეს, რომ ის სუნთქავდა.

– გარდაცვალების დიაგნოზის დასმა ექიმებს შეუძლიათ და არა ჩვენ. ვერასოდეს წარმოიდგენ, რომ გამოაღებ მაცივრის კარს და იქ ცოცხალ ადამიანს დაინახავ. არადა, გაკვეთა რომ დაგვეწყო და ამ დროს რომ შემოგვკვდომოდა?! – განაცხადა პროზექტურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

ამის შემდეგ ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო ამ ფაქტის ირგვლივ შიდა გამოძიება დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

4 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.4469

ევრო — 2.8494

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2211

100 რუსული რუბლი — 3.8757

ამინდის პროგნოზი 4 ივლისისთვის

იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

19 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის პირველი ტომი

ალექსანდრე იასაღაშვილი
მგლის ბილიკი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

22 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-2 ტომი

ალექსანდრე იასაღაშვილი
შავი ვარდი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

26 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-3 ტომი



იორამ ჩადუნელი
საზღაური
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

29 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-4 ტომი

რომან გვენცაძე
საბედისწერო გასროლა
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

3 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-5 ტომი

ჯემალ ჩახავა
ქურდები და არიფები
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი
ვინ მოკლა ინსპექტორი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი
დანაშაული აღარ მოხდება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ესპანეთის სანაპიროსთან დიდი თეთრი ზვიგენი დააფიქსირეს

ესპანეთში 30 წლის მანძილზე პირველად შენიშნეს დიდი თეთრი ზვიგენი. ამ ინფორმაციას ევრონიუსი ავრცელებს.

ზვიგენის დაფიქსირება რამდენიმე დღის წინ ადგილობრივი დროით, დაახლოებით დილის 10 საათზე მოხდა. აღნიშნული კადრი მაიორკის, ხმელთაშუა ზღვაში ესპანეთის ბალეარის ერთ-ერთი კუნძულის მახლობლადაა გადაღებული. აქტივისტებმა, რომლებმაც ზღვის მტაცებელი შენიშნეს, განაცხადეს, რომ მისი სიგრძე დაახლოებით ხუთ მეტრს შეადგენდა.

კვლევითი პროექტის მკვლევარების ჯგუფის მიერ ფეისბუქში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ბოლო წლებში რამდენიმე დაუდასტურებელი ხმები გავრცელდა იმის თაობაზე, რომ დიდი თეთრი ზვიგენები ამ ადგილის მახლობლად ბინადრობენ. თუმცა ეს ამ ხმების პირველი დასაბუთებული დადასტურებაა და პირველია ბოლო 30 წლის მანძილზე.

დიდი თეთრი ზვიგენის წონა ორ ტონამდე, ხოლო სიგრძე ექვს მეტრამდე აღწევს და მას საათში 40 კილომეტრი სიჩქარის განვითარება შეუძლია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– 2012 წელთან შედარებით რაში გაიზარდა ჩვენთან ხელფასები? დოლარებში? ლარებში?

– ოცნებებში.

●●●

გზაზე ტრაქტორი ახალთახალ მერსედესს გამოედება და დააზიანებს. მანქანის გაცოფებული პატრონი გადმოხტება, ტრაქტორთან მიიჭრება, საფეხურზე ახტება, კარს გამოაღებს და ხედავს კაბინაში მოხეული, დაკუნთული ტიპი ზის.

– რა გინდა? – ეკითხება ტრაქტორის მძღოლი.

– მმმე... 19-იანი „კლუჩი“ მინდოდა მეთხოვა...

– 42-იანამდე ხელით ვუშვებ!!!

●●●

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რატომაა, რომ ცოლიანი კაცები სუქდებიან?

– უცოლო მამაკაცი სახლში ბრუნდება, აღებს მაცივრის კარს, ნახავს შიგნით რაც დევს, დამწუხრებული გატრიალდება და დასაძინებლად მიდის...

– და ცოლიანი?

– ცოლიანი, სახლში ბრუნდება, საწოლ ოთახში შეიხედავს, შეხედავს, იქ ვინც არის და დამწუხრებული მიდის მაცივართან.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– მსოფლიოს ჩემპიონატზე ვის გულშემატკივრობ?

– აფრიკელებს.

– კი მაგრამ, მაროკო, ნიგერია, ტუნისი, სენეგალი ხომ უკვე გავარდნენ?

– საფრანგეთი ხომ დარჩა.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– როგორ გაგიმართლა, ჩემი წლოვანების კვალობაზე შესანიშნავად გამოვიყურები. ზოგჯერ ლიფის გარეშეც კი დავდივარ.

– ჰო, ლიფის გარეშე უკეთესიცაა. მაგ დროს სახეზე ყველა ნაოჭი გიქრება.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ჩემთვის ადგილს ვერ ვპოულობ.

– მომისმინე, ოთახიდან დერეფანში გახვალ, შეუხვევ მარცხნივ და სამზარეულო იქაა.

●●●

ორი მეგობარი კაფეში ზის. მათთან მისული ოფიციანტი ეკითხებათ:

– გისმენთ, რას ინებებთ?

– მე ტომატის წვენი, თუ შეიძლება.

ამ დროს მეგობარი ეუბნება:

– შენ რა, მკვდარი პომიდორების სისხლი უნდა დალიო?

●●●

ბავშვი უყურებს თუ როგორ იზომავს სარკის წინ დედა ახალ ბეწვის ქურქს და ბოლოს დედას ეუბნება:

– დედა, იცი, რომ ეგ ქურქი საცოდავი, უბედური ცხოველის ტანჯვა-წვალების შედეგია?

– შვილო, საკუთარ მამაზე მასეთ რამეს როგორ ამბობ?!

●●●

ცოლი ქმარს საყვედურობს:

– ამ ბოლო დროს შენ ძალიან მშრალი და უგულო გახდი.

– იმიტომ, რომ მთელი სითხე შენ გამომწოვე!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

შვედეთი–შვეიცარია 1:0

სანკტ პეტერბურგი. სანკტ პეტერბურგ არენა

1:0 ფორსბერგი (66)

შვედეთი: ოლსენი, ლუსტიგი (კრაფტი 82), ლინდელოფი, გრანკვისტი, აუგუსტინსონი, სვენსონი, ეკდალი, კლაესონი, ფორსბერგი (ოლსონი 82), ბერგი (ტელინი 90), ტოივონენი

შვეიცარია: ზომერი, ლანგი, ჯურუ, აკანჯა, როდრიგესი, ბეჰრამი, ჯაკა, შაქირი, ჯემაილი (სეფეროვიჩი 73), ზუბერი (ემბოლო 73), დრმიჩი

მშვენიერი შანსი მიეცა ორივე გუნდს მეოთხედფინალში გასასვლელად. არც ერთი მოწინააღმდეგე გადაულახავ ბარიერს არ წარმოადგენდა. მთავარი იყო, ვინ უფრო სწორად, გამართულად ითამაშებდა და თავის შანსს გამოიყენებდა.

უფრო უკეთესად სკანდინავიელები გამოიყურებოდნენ და 66-ე წუთზე დაუფასდათ კიდეც – ფორსბერგის კარგ ქმედებას კარში დარტყმა, მცირე რიკოშეტი და გოლი მოჰყვა.

დარჩენილ დროში შვეიცარიელები ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდნენ, მაგრამ გაუვალ ზღუდეს წააწყდნენ – შვედები შესანიშნავად იცავდნენ თავს და მეოთხედფინალამდე საქმე მშვიდობიანად მიიყვანეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ემილ ფორსბერგი

შვედების ლიდერი მთელი მატჩის განმავლობაში აქტიური იყო, თითქმის ყველა შეტევა მისგან იწყებოდა. ერთხელ დაიწყო და დაასრულა კიდეც, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ›

შვეულად: 1. ერთი და იგივე აზრის, განსაზღვრების გამეორება სხვა სიტყვებით; 2. საჭმლის მომნელებელი ორგანოების ერთობლიობა; 3. ბურატინოს იტალიური პროტოტიპი; 4. უფერული სითხე, რომელიც მიმოიქცევა ადამიანის, ცხოველების უჯრედებს შორის; 5. ისტორიული სატუსაღო პარიზში; 6. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი უკრაინელი ატამანი; 7. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 9. დედალი ცხენი; 13. თეთრი მკვრივი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილის გარეთა ნაწილი; 17. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში; 18. ტროპიკებში გავრცელებული დიდი მახრჩობელა გველი.

თარაზულად: 1. განსაკუთრებული ნიჭი; 3. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 8. ფლორიდის საკურორტო ცენტრი; 10. დებულება, რომელსაც მტკიცებულება არ სჭირდება; 11. გერმანული ავტომობილი; 12. ბარსელონის ძველი სახელწოდება; 14. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 15. ყნოსვის უნარის დაქვეითება, მოშლილობა; 16. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 19. პენალტი ჰოკეიში; 20. რძის შაქარი; 21. საზღვაო მოგზაურობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა